საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 163 (2277) | სამშაბათი, 13 აგვისტო, 1996 წელი | ფასი 30, თბილისს გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველო მსოფლიო ცივილიზაციისა და დემოკრატიის სივრცეში მაშინ დაიკავებს ღირსეულ ადგილს, როცა კონფლიქტებს დავძლევთ და შიდასახელმწიფოებრივ ჰარმონიულ ცხოვრებას მივაღწევთ“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 12 აგვისტოს რადიოინტერვიუ

— გასული პოლიტიკური კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 9 აგვისტოს მოსკოვში გამართული რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაცია, ამის თაობაზე თქვენი საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ საქართველოს ტელევიზიით უკვე გადაიცა. 9 აგვისტოს გაიმართა ინაუგურაცია, 10 აგვისტო კი ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთში გლოვის დღედ გამოცხადდა. თქვენს გუშინდელ განცხადებასთან დაკავშირებით გავიხსენეთ ეს ფაქტი: განცხადება ერთგვარად ყველა იმ თეზისის თუ პოლიტიკური განცხადების შეჯამება იყო, რაც აფხაზეთის ომიდან მოყოლებული გითქვამთ სხვადასხვა ინტერვიუში, ასევე გაეროს ტრიბუნაზე, სხვა მნიშვნელოვან ფორუმებზე. ხშირად, უმეტესად, ამ განცხადებებს უფრო, შეიძლება ასე ითქვას, გარეთ უსმენდნენ და აფასებდნენ, ვიდრე შინ — ამ განცხადებათა უშუალო ადრესატები. და, კიდევ ერთი, რაც ამ განცხადებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, არის ის, რომ ეს იყო თავისი სტილისტიკით განსხვავებული, უფრო დაჯერებული და თამამი, ვიდრე ყველა სხვა გამოსვლა ამ თემასთან დაკავშირებით. თქვენი ნებართვით ერთ მომენტს გამოვყოფ. თქვენ ასეთი რამ ბრძანეთ, რუსეთი არასოდეს შეეგუება საქართველოს გაძლიერებას და რუსეთი, როგორც უშიშროების საბჭოს წევრი, არც მის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლას დაუშვებსო. და კიდევ, ერთი მომენტიც, რაც ძალზე მნიშვნელოვანია და აბსოლუტურად განსხვავებული მოსაზრებაა. თქვენ ბრძანეთ, რომ სამხედრო „წარმატება“, რომელიც სისხლის, გაძევების ფასად არის მოპოვებული, დამარცხების ტოლფასია.

ჟურნალისტ ნატო ონიანის მიერ წამოწყებულ ამ საკითხზე საუბრით დაიწყო რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

— მადლობელი ვარ, რომ ჩვენ ამ საკითხით დავიწყეთ. გუშინდელ ჩემს განცხადებას სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებ. იგი გათვალისწინებულია, ასე ვთქვათ, გარემომცველ სამყაროზე და ჩვენს საზოგადოებაზე, ჩვენი საშინაო პრობლემების თვალსაზრისითაც. მიმაჩნია, რომ ბევრი რამ იქ საყურადღებოა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შეხედულებით, ამ განცხადების ძირითადი პათოსი, ძირითადი დანიშნულება ის არის, რომ ხელი შევუწყო, როგორც კი შემიძლია, კისლოვოდსკის შეთანხმებათა რეალიზაციას, რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის დასამყარებლად კავკასიური ფაქტორის გააქტიურებას. კავკასიის ხალხთა თვითმყოფადობისა და მათი [illegible] გარანტია არ შეიძლება იყოს კონფლიქტებისა და არსებული საზღვრების ნგრევის გზა. კაცობრიობის განვითარება იმ გზით მიდის, რომ ყველა სფეროში ფართომასშტაბიანი ინტეგრაციული პროცესების მონაწილე ყველა ქვეყანა გახდება. რა თქმა უნდა, კავკასია ამ პროცესების ცენტრში თუ არ იქნება, მეორე პლანზე ის არ გადაიწევს. სახელმწიფოთა და ხალხებს შორის საზღვრების ძირითადი დამახასიათებელი იქნება მათი გამჭვირვალობა. ესე იგი, მოიხსნება მრავალი ბარიერი, რომლებიც დღეს ხალხებისა და ქვეყნების იზოლაციას იწვევს. კავკასია, რა თქმა უნდა, უწინარესად საქართველო, მსოფლიო ცივილიზაციისა და დემოკრატიის სივრცეში მაშინ დაიკავებს ღირსეულ ადგილს, როცა კონფლიქტებს დავძლევთ და შიდასახელმწიფოებრივ ჰარმონიულ ცხოვრებას მივაღწევთ. იგივე ითქმის რეგიონის ყველა ხალხზე. ყველას გვინდა რუსეთის, ჩეჩნეთის ტკივილები ადრე მოშუშდეს, ადრე მოგვარდეს სხვა კონფლიქტებიც კავკასიაში და მთელ მსოფლიოში. ჩვენ მართლაც ვიმყოფებით (თქვენ კარგად შენიშნეთ ამ განცხადებაში) კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრების მიჯნაზე. მაგრამ მშვიდობა და სტაბილურობა დამკვიდრდება, თუ ხელიდან არ გავუშვებთ კავკასიური ფაქტორის ამოქმედების იმ ისტორიულ შანსს, რომელსაც კისლოვოდსკში ჩაეყარა საფუძველი. ეს ჩვენი მიზანი სასურველ რეალობად იქცევა, თუკი არსებულ ნამდვილ შესაძლებლობებს გამოვიყენებთ და ასეთი შესაძლებლობანი კი საკმაოდ ბევრია.

— გასული ეკონომიკური კვირა საინტერესო იყო — იგი ეკონომიკური სტაბილურობით აღინიშნა. ამის შესახებ ილაპარაკა საქართველოში ვიზიტად მყოფმა შადმან ვალავიმაც...

— გასული კვირა მართლაც საინტერესო იყო. იგი აღინიშნა საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურების ინტენსიური მუშაობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან, რომელსაც ჩვენთვის კარგად ცნობილი ბატონი მოჰამედ შადმან ვალავი ხელმძღვანელობდა. კერძოდ, ერთობლივი შესწავლისა და მსჯელობის საგანს წარმოადგენდა სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული დაფინანსების პროგრამის (მისი მთლიანი თანხა სამ წელიწადზე გაანგარიშებით 246 მილიონ დოლარს შეადგენს) რეალიზაციის მსვლელობა წლევანდელი წლის პირველ ნახევარში. საქართველოს პრეზიდენტთან მისიის შეხვედრის დროს ხაზგასმით გამოიკვეთა, რომ საქართველომ საკმაოდ წაიწია წინ სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების პრეზიდენტის იმ პროგრამების შესრულებაში, რომლებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს. მიღწეულია ინფლაციის ტემპის საკმაოდ საგრძნობი შემცირება, ეროვნული ვალუტის მყარი საცვლელი კურსი, ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლება, საგარეო კრედიტორებთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. განხილული იყო კონკურენტული პურის ბაზრის ჩამოყალიბების პერსპექტივა და სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ღონისძიებები. იყო არსებითი და სიღრმისეული განხილვა.

საერთო შეფასებით ინფლაციის ტემპი წლეულს 15-18 პროცენტს არ გადააჭარბებს, წლიური პროგრამით ნავარაუდევი 20-25 პროცენტის ნაცვლად. ივლისში წინა თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასები არამც თუ არ გაზრდილა, არამედ 2,5 პროცენტით შემცირდა. ამ-

(დასასრული მე-2 გვ.).



დიდგორი. 1121 წლის აგვისტო. მანგლის-თრიალეთის გზით ქართლში შემოსული თურქ-სელჩუკთა უზარმაზარი (400 ათასი) ლაშქარი დიდგორში ბანაკდება. საქართველოს დიდი დავით მეფე მიუძღვის.

12 აგვისტო. 56-ათასიანი ლაშქრით დავით მეფე ნიჩბისს ხევით დიდგორს უახლოვდება. სისხლისმღვრელი ბრძოლა რამდენიმე საათში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.
მას შემდეგ 875 წელიწადი გავიდა.

ინფორმაცია

სურსათი იაფდება

სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის მონაცემებით, გასული კვირის მანძილზე სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 99,6 პროცენტი შეადგინა.

ფასები საშუალოდ 0,4 პროცენტით შემცირდა. აქედან სურსათი — 1,06 პროცენტით. მომსახურების ტარიფები 0,03 პროცენტით გაიაფდა. არასასურსათო საქონლის ფასი არ შეცვლილა.

ბოევიკების ხელწერა

11 აგვისტოს დაახლოებით 21 საათზე, მდინარე ენგურის გაღმა, იმ მონაკვეთზე, რომელსაც რუსეთის სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ, მოხდა ძლიერი აფეთქება. როგორც მოგვიანებით გაირკვა, გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში ნაღმზე აფეთქდა რუსეთის სამშვიდობო ძალების ავტომანქანა „გაზ-69“. ავტომანქანაში იმყოფებოდნენ რუსი ოფიცრები და სამხედროები. აფეთქებიდან ნახევარი საათის შემდეგ დაჭრილები ვერტმფრენით გადაიყვანეს სოხუმში, სადაც, სამწუხაროდ, მიღებული ცნობების თანახმად, ისინი გარდაიცვალნენ. როგორც თავად რუსი სამხედროები აღნიშნავენ, ეს აქცია ჩადენილია აფხაზთა ბოევიკების მიერ, გალის რაიონის ტერიტორიაზე მორიგი სადამსჯელო ოპერაციების განხორციელების მიზნით.

საქინფორმი.

დღის წესრიგშია პრიორიტეტული მიმართულებები

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ცენტრალურ ოფისში გაიმართა სათათბიროს საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე ლანა ღოღობერიძე, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები.

სხდომამ მუშაობა აფხაზეთის საკითხის განხილვით დაიწყო. კონფლიქტის მოწესრიგებაში გარკვეული პროგრესი მიღწეულია, მაგრამ საქართველოსათვის ეს პრობლემა გადაჭრილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული დევნილი დაუბრუნდება საკუთარ სახლს — განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

გია მურღულიამ მიმოიხილა განათლების სისტემის პრობლემები.

საკმაოდ ვრცლად ისაუბრეს ქვეყნისათვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემაზე — ნარკომანიაზე, რომელიც დღითი დღე უფრო მეტ ახალგაზრდას ითრევს.

განიხილეს კულტურის, ტრანსპორტის, სარესურსო და ტექნიკური პოტენციალისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემებში არსებული პრობლემები.

საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ სახელით მოხსენება გააკეთა ლანა ღოღობერიძემ.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

„ნოეს“ პასუხი უნდა აგოს

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გაზეთ „ნოეს“ წინააღმდეგ, რომელშიც გამოქვეყნებულია ანტისემიტური სტატია. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომელიც სჯის ეროვნული შუღლის გაღვივებისათვის.

ბეშუმი გისმენთ!

ოპერატიულად, ორ დღეში შპს „საქართველოს რადიოცენტრის“ თანამშრომლებმა დაამყარეს რადიოსატელეფონო კავშირი აჭარის მაღალმთიანი კურორტიდან — ბეშუმიდან თბილისის და ბათუმის მიმართულებით. გამოყენებულ იქნა ავსტრალიური „კოდანის“ ფირმის მოკლეტალღოვანი მიმღებ-გადამცემი სადგურები.

რადიოსატელეფონო კავშირის დამყარებაში მონაწილეობა მიიღეს „საქართველოს რადიოცენტრის“ ტექნიკური განყოფილების უფროსმა რევაზ შონიამ, ამავე განყოფილების ინჟინრებმა ნოდარ მელიქიშვილმა და მალხაზ სოლომნიშვილმა. მათ აქტიური დახმარება გაუწიეს აჭარის კავშირგაბმულობის სამინისტროს თანამშრომლებმა.

საქინფორმი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ვაჟური

„მაგრამ ფიქრობენ ვაჟანი სახვალიოდაც ბრძოლასა“.

ვაჟა.

მწამს შენი წმინდა სახელის,
სახელის ზეციურისა,
გეტყვი ცოდვასა გამხელილს,
გაგანდობ მხეცის სურვილსა.

თვალმარგალიტსა გვართმევენ,
სისხლით გვივსებენ ხელადას,
მამულს გვართმევენ ქართველებს
რჯულძაღლთა საჯიჯგნელადა.

ლაშქრობაგადაჩვეული
მერანი აღარ ჰიხვინებს,
ველზე არა სჩანს რჩეული,
ვერც ზარის მთქმელი ვიხილე.

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,
ვით ავაყვირო გორდაო,
ცაში რაც ვარსკვლავს გავანდე,
მიწაზე გამიგორდაო.

ვის მონებს გული ერთგული,
ვინ მღერის სახედამანჭვით,
ჰა, ჩემი ლექსი ბებრული
გორდაზე ნაკლებ არა ჭრის.

სიცოცხლე აღარ ლამპარობს,
მკლავი ხმალს ვერ გაერითმა,
მითხარით, მამაპაპანო,
როდემდე ვიყოთ თქვენითა.

თუმცაღა ვჩემობ, ჩემია,
ვუმზერ ამერს და იმერსა,
ერთიღა შემომრჩენია, —
იმედი ჰქვია იმ ერთსა.

დიდი ფშაველის ხანჯალი
მიშლის შიშსა და ძრწოლასა,
თურმე ფიქრობენ ვაჟანი
სახვალიოდაც ბრძოლასა.

დიდგორი გველის გუმისთას,
ცხრა თვალი გვინდა, ცხრა ხელი,
არ აჰყვეთ ბოროტ გულისთქმას,
იბრძოლეთ უფლის სახელით.

1996 წლის 12 აგვისტო.

საქართველოს პრეზიდენტის

ედუარდ შევარდნაძის განცხადება

გროზნოში კვლავ ომია. კვლავ იღვრება სისხლი, 10 აგვისტო რუსეთის პრეზიდენტმა გლოვის დღედ გამოაცხადა, მაგრამ გლოვობენ არა მარტო რუსეთში. გლოვობენ საქართველოშიც დაღუპული რუსებისა თუ ჩეჩნებისათვის.

საგანგაშოა, რომ კავკასიის ცაზე კვლავ შავმა ღრუბლებმა იმძლავრეს.

გარკვეული პროგრესის მიუხედავად, გადაუჭრელია ქართულ-ოსური კონფლიქტის ძირეული საკითხები.

რეალური ძვრები არ მოხდა აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგებაში.

მოძმე ამიერკავკასიის ხალხებს კვლავ აღელვებთ მთიანი ყარაბაღის პრობლემა.

გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ ამ კონფლიქტებს არაფერი აქვთ საერთო, რომ მათი მოგვარება შესაძლებელია იზოლირებულად, საერთო ძალისხმევის გარეშე.

კავკასიის კონფლიქტების გენეზისის განხილვისასაც ბევრს ვპოულობთ საერთოს წინამორბედი წყობის ისტორიულ მემკვიდრეობასა თუ ჩვენი დღეების საბედისწერო შეცდომებში.

კერძოდ, არაერთხელ განმიცხადებია და კვლავ გავიმეორებ: რომ არ ყოფილიყო ქართველთა გენოციდი აფხაზეთში, სხვა სახელმწიფოს ათასობით და ათასობით ბოევიკ-მოქალაქეთა მონაწილეობით, არ დატრიალდებოდა ტრაგედია ჩეჩნეთში. სოხუმის დაცემის თარიღს ზოგიერთი „სტრატეგი“ აბსოლუტური სიზუსტით განსაზღვრავდა, მაგრამ ვერ ითვალისწინებდა, რომ აისბერგს მოძრაობის თავისი კანონები აქვს, შედეგად კი ბუმერანგივით დაბრუნებულმა მოვლენებმა უკვე ათიათასობით ადამიანი შეიწირა.

ჩეჩნეთის, მთელი რუსეთის ტკივილები, ჩვენი ტკივილიცაა. საქართველომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარი, რომელიც ჩვენ ქვეყანას ჩეჩნეთისაგან ჰყოფს, მშვიდობიანი ყოფილიყო. ასე სჯობდა რუსეთისათვის, ასე სჯობდა ჩეჩნებისთვისაც, კავკასიის სხვა ხალხებისათვის.

კავკასიის ხალხთა საერთო პასუხისმგებლობის შეგნებამ შეგვკრიბა ჩვენ კისლოვოდსკში. რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ამ შეკრებაში მონაწილეობით თემა — „მშვიდობიანი კავკასია“ თავისი საარჩევნო პროგრამის ნაწილად აქცია.

გაჩნდა პირველი იმედისმომცემი შედეგებიც. მთელი ძალით შევიგრძენით კავკასიის სამშვიდობო ფაქტორის ამოუწურავი პოტენციალი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ხალხების ერთად ცხოვრების ურთულეს პროცესში ყალიბდებოდა. სამწუხაროდ, ბოლო დღეების მოვლენები გროზნოში და ჩეჩნეთის სხვა რაიონებში საეჭვოს ხდის კისლოვოდსკის შეთანხმებათა ბედს.

არ უნდა დაგვავიწყდეს: კონფლიქტის მეტასტაზები უკვე გავრცელებულია. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მცირეოდენი გართულების პირობებშიც კი ეს მეტასტაზები უკურნებელ სენთა ახალ კერებად გადაიქცევა.

ამიტომ უნდა ვიჩქაროთ, დღეს გასაკეთებელი სახვალიოდ არ გადავდოთ.

ჩვენ მადლობელი ვართ საქართველოში კონფლიქტების მოწესრიგებაში რუსეთის პოლიტიკოსთა და დიპლომატთა აქტივობისათვის, სამშვიდობო ძალების, განსაკუთრებით, ცხინვალში დადებითი როლისათვის. რუსეთის გარეშე კავკასიის კონფლიქტების მოკლე ვადებში მოგვარება ილუზიაა და ეს ყველამ უნდა გაიგოს.

ჩვენ მადლობელი ვართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციებისა და განხორციელებული აქტებისათვის, დევნილთა დაბრუნების კატეგორიული მოთხოვნების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ინტერესების დაცვისათვის.

მადლობას მოვახსენებ ევროუშიშროების ორგანიზაციის უმაღლესი დონის ბუდაპეშტის თათბირს, რომელმაც დაგმო ეთნიკური წმენდა აფხაზეთში.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა თანამეგობრობის ქვეყნების კატეგორიულ მხარდაჭერას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების არსებით საკითხებში, აგრესიული სეპარატიზმის, როგორც ჩვენს საერთაშორისო რეგიონულ ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოებისათვის ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი მოვლენის დაგმობას.

ახალი, დემოკრატიული და განუყოფელი სახელმწიფოს მშენებლობაში ვგრძნობთ „საქართველოს მეგობრების“ განუხრელ თანადგომას.

მნიშვნელოვანია, რომ უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუციის მიმართ თავისი აქტიური მხარდაჭერა გამოხატა თურქეთის მთავრობამ, რომელმაც ხაზი გაუსვა რეგიონისათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

ვითვალისწინებ რა მთელ პასუხისმგებლობას, რომელიც კავკასიის ხალხებს ეკისრებათ საყოველთაო სტაბილურობისათვის, მშვიდობიანი კავკასიისათვის ბრძოლაში, მივმართავ ჯოხარ დუდაევის(?) —

უახლოეს დღეებში და განვსაზღვროთ, როგორ ვიცხოვროთ დღეს და ხვალ, როგორ ავაღორძინოთ ჩვენი ხალხების თანაცხოვრების საუკუნეებრივი ტრადიციები. მხოლოდ, შეხვედრისათვის აუცილებელი პირობაა არ ჩამოვუშვათ ისეთი ბურუსი, რომ ერთმანეთის მიგნება გაგვიჭირდეს (გამგები გამიგებს, ჩაზეა ლაპარაკი).

მე მივმართავ ვლადისლავ არძინბას, ყველას, ვისაც მის ზანაკშია, აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობას, ყველა აფხაზს: ფიქრისა და განსჯისათვის დრო საკმაოზე მეტი იყო. გაკვეთილი? ათასობით დახვრეტილი, დაღუპული ადამიანი, ათიათასობით გადამწვარი სახლ-კარი, სამასი ათასი დევნილი, უაზრო ომს შეწირული აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი.

უდანაშაულო ადამიანთა სისხლის გუბეები, ათიათასობით ოჯახის გაძევება მშობლიური კერებიდან არავის არ მოუტანს ბედნიერებას.

რასაც ვიტყვი, არც ჭკუის დარიგებაა და არც მორალური შეგონება (ღმერთმა დამიფაროს ამისაგან): მსოფლიო შეიცვალა, შეიცვალა სახელმწიფოთა, ხალხთა თანაცხოვრების კანონები. ერთი რეგიონის არასტაბილურობა განგაშის მანიშნებელია მთელი მსოფლიოსათვის. ყოფილი იუგოსლავიის მაგალითი კარგი გაკვეთილია. ხალხები სხვა, ახალი წესრიგის პირობებში იწყებენ ცხოვრებას. ცივი ომის უსისხლოდ დამთავრებამ შეცვალა წარმოდგენა ომებზე, ომებში გამარჯვებულებზე. დღევანდელ ეტაპზე სისხლის ფასად და მშობლიური კუთხიდან ადამიანთა გაძევებით მოპოვებული სამხედრო „წარმატება“ დამარცხების ტოლფასია, მორალური, ზნეობრივი, ზოგადკაცობრიული პრინციპების ფეხქვეშ გათელვაა. „გამარჯვებულთა“ სხვანაირ პორტრეტს ვერავინ დახატავს, სხვა იმიჯს ვერ დაამკვიდრებს.

პირდაპირ გეტყვით: ყველა-ყველაა, მაგრამ რუსეთი არასდროს შეეგუება საქართველოს გაძლიერებას, ეს არ შეესაბამება მის სტრატეგიულ ინტერესებს. ჩვენი დიდი მეზობელი მის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის თუნდაც თეორიულ შესაძლებლობასაც არ დაუშვებს. რუსეთისათვის, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრისათვის, ესეც ყოვლად მიუღებელია.

ამასთან არაერთხელ მითქვამს და კვლავაც ვადასტურებ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეტაპზე საბედისწერო შეცდომები დაუშვა. ეს ეხება ურთიერთობას აფხაზებთან, ოსებთან და სხვებთან. სხვათა შორის, ყველაზე მეტად ეს თვით ქართველების ბედს ეხება. ბევრი რამ, რაც გვჭირს, ჩვენივე ბრალია. ესეც ისტორიული გაკვეთილია.

ქართველები და აფხაზები მხოლოდ ერთად ცხოვრების პირობებში იქნებიან ბედნიერი, და მე მზად ვარ მთელი ჩემი გამოცდილება, ჩემი შესაძლებლობა ამ ბედნიერი მომავლის საფუძვლის ჩაყრას, მის მშენებლობას მოვახმარო.

მე მზად ვარ უახლოეს დროში შევხვდე ვლადისლავ არძინბას, შევხვდე მის წარმომადგენლებს, მაგრამ შევხვდე სათანადო მომზადებისა და პოზიტიური შედეგების მიღებაში დარწმუნებული. ერთხელ უკვე შედგა ჩემი დიალოგი მასთან გუდაუთაში, მზად ვარ შევხვდე საქართველოს რომელ კუთხეშიც გნებავთ, აფხაზეთის ჩათვლით.

და, ბოლოს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებით, აფხაზურ კონფლიქტში მიღწეული ძირეული პროგრესით, დარწმუნებული ვარ, ხელს შევუწყობთ ჩეჩნეთის კონფლიქტის განმუხტვასაც, ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტის დაჩქარებასაც და, საერთოდ, მშვიდობიანი, აყვავებული კავკასიის მშენებლობის საშვილიშვილო საქმეს.

თბილისი, 1996 წლის 11 აგვისტო.

მკითხველთან პირისპირ

დაურეკეთ დემურ მიქაძეს!

შეგახსენებთ, რომ დღეს 12-დან 14 საათამდე შეგიძლიათ დაურეკოთ შს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს, შს მინისტრის მოადგილეს, პოლიციის გენერალ-მაიორ დემურ მიქაძეს რედაქციის ტელეფონზე 99.05.29.

შეიქმნა დამკრძალავი კომისია

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსის თემურ ფიფიას დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნა კომისია სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის თავმჯდომარეობით.

თემურ ფიფია დაიკრძალება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ 9 აგვისტოს მოულოდნელად გარდაიცვალა სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი

თემურ ფიფია

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი

თემურ ფიფია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 9 აგვისტოს მოულოდნელად, 38 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი

თემურ ფიფია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველო მსოფლიო ცივილიზაციისა და დემოკრატიის სივრცეში მაშინ დაიკავებს ღირსეულ ადგილს, როცა კონფლიქტებს დავძლევთ და შიდა სახელმწიფოებრივ ჰარმონიულ ცხოვრებას მივაღწევთ“

(დასასრული)

ამავე დროს, მთლიანი შიდა პროდუქტის მატება მოსალოდნელია 10 პროცენტის დონეზე. ეს ორი პროცენტით აღემატება ჩვენს მიერ წინასწარ პროგრამაში გათვალისწინებულ მონაცემებს და თანაც აღებულია გარკვეული რეზერვი.

ამასთან, ქვეყანას ჯერ კიდევ გადასაწყვეტი აქვს უმწვავესი პრობლემები, რაც საფუძველი უნდა გახდეს ეკონომიკური აქტიურობის გაძლიერების კვალობაზე მოსახლეობის კეთილდღეობის რეალური, საყოველთაოდ საგრძნობი და შესამჩნევი გაუმჯობესებისა.

ამ პრობლემათა შორის (ყველას არ ჩამოვთვლი, ამაზე ბევრი მისაუბრია) წინა პლანზე იწევს საექსპორტო პოტენციალის მკვეთრი გადიდება, ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დარეგულირება, რაც ეკონომიკური განვითარების, უფრო სწორად, არსებობის ელემენტარული ნორმაა.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, სახელმწიფო ფინანსების გაძლიერება ერთ-ერთი მწვავე და ძირითადი ამოცანაა. უახლოეს წლებში უნდა უზრუნველვყოთ საგადასახადო შემოსავლების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების კოეფიციენტის სულ ცოტა გაორკეცება — მივაღწიოთ 10-12 პროცენტს, როგორც წესი, საგადასახადო განაკვეთების გაუდიდებლად. ამასთან, ამ ამოცანათა რეალიზაცია გადაუდებელი საქმეა. იგი ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს. კიდევ მინდა ეს განვმარტო, მინდა რადიომსმენელებმა იცოდნენ, რაზეა საუბარი. ლაპარაკია იმაზე, რომ სახელმწიფო გადასახადის ხაზით უნდა იღებდეს, როგორც მინიმუმი, ერთობლივი შიდა პროდუქტის 10-12 პროცენტს. ჩვენ ახლა 4-5 პროცენტის დონეზე ვიმყოფებით. ეს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მთელ მსოფლიოში.

შუა ზაფხული, განსაკუთრებით ივლისი, გადასახადების მობილიზაციის თვალსაზრისით საკმაოდ რთული თვეა. ამ პირობებში საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მიერ აკრეფილმა საბიუჯეტო შემოსავლებმა ივლისში ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია და თითქმის 7 მილიონი ლარი შეადგინა, საკონტროლო დავალება დაახლოებით 105 პროცენტით შესრულდა, რისთვისაც მადლობას ვუცხადებ მთელ სამსახურს. შარშანდელი შვიდი თვის დონეს ეს მაჩვენებელი შვიდნახევარჯერ აღემატება. თანდათანობით იფარება წლის დამდეგიდან დაშვებული ჩამორჩენაც. აგვისტოს პირველ 9 დღის განმავლობაში საბაჟო სისტემიდან ბიუჯეტში გადაირიცხა თითქმის ერთნახევარი მილიონი ლარი, რაც 24 პროცენტით მეტია წინა თვის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

აგვისტოს ამავე პერიოდში საგადასახადო ორგანოების მიერ აკრეფილმა ბიუჯეტმა საგადასახადო შემოსავლების ოდენობამ 10 მილიონ ლარს გადააჭარბა, ანუ დღეს საქართველოში საშუალო ყოველდღიური შემოსავლები მილიონ 700 ათას ლარს შეადგენს, წლის პირველი ნახევრის საშუალოდ 860 ათასი ლარის ნაცვლად. წლის დამდეგიდან საგადასახადო სამსახურის ხაზით ბიუჯეტში შემოსულია 150 მილიონი ლარი, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს. მე მხარი უნდა დავუჭირო საგადასახადო სამსახურს, რომელიც ძალიან დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა, იმისათვის, რომ ეს საკონტროლო მონაცემები შევასრულოთ.

აგვისტოს დამდეგიდან, 6 სამუშაო დღის განმავლობაში ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშზე მიღებულმა საკუთარმა შემოსავლებმა, გრანტებიდან შემოსავლების ჩათვლით, უკვე შვიდ მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რაც თვიური გეგმის 27 პროცენტია. ყოველივე ეს იმედისმომცემია.

ამასთან, საგადასახადო სამსახურის შეფასებით, წლის მეორე ნახევრის დაძაბული გეგმის გათვალისწინებით, მიღწეული დონე ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საპროგნოზო მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად, აქ, უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება საგადასახადო კულტურის ამაღლებას და საგადასახადო დისციპლინის გაძლიერებისადმი მეტ მომთხოვნელობას. ამ თემაზე ბევრი მისაუბრია, მაგრამ კვლავაც მოგვიწევს არაერთხელ დავუბრუნდეთ ამ პრობლემას. კერძოდ, საგადასახადო სამსახურის მონაცემებით, ფოთის ნავსადგურმა, მაგალითად, ივლისში ბიუჯეტს კუთვნილი 530 ათასი ლარი, ხოლო სოციალური დაცვისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს წლის დამდეგიდან 600 ათასი ლარი დააკლო. საჭიროა, სპეციალურად გავერკვეთ რაშია საქმე. ფოთის ნავსადგური უფრო მეტი და მეტი დატვირთვით მუშაობს, შემოსავალი მატულობს ხოლო გადასახადები სახელმწიფო ხაზინაში კლებულობს. ეს ყოვლად დაუშვებელია.

საკმაოდ რთული ვითარებაა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. წლის დამდეგიდან ქარხანას გამოშვებული და რეალიზებული აქვს დაახლოებით 12 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია, საიდანაც ბიუჯეტს სულ მცირე ორნახევარი მილიონი ლარი უნდა მიეღო, ფაქტობრივად კი ბიუჯეტში ჩარიცხულია მხოლოდ 96 ათასი ლარი. ასე რომ, შარშანდელი წლის ვალების ჩათვლით. ქარხნის საბიუჯეტო დავალიანება 4,5 მილიონ ლარს აჭარბებს.

საგადასახადო შემოსავლების მატების უმთავრესი წყარო, ცხადია, წარმოებისა და მიმოქცევის შემდგომი განვითარებაა. 7 თვის ყველა მაჩვენებელი ჯერჯერობით შეჯამებული და დაზუსტებული არ არის, მაგრამ ოპერატიული მონაცემებითა და ცალკეული ცნობების მიხედვით შესაძლებელია აღინიშნოს მრავალი მიღწევა და პრობლემა. კარგი ტენდენციები გამოიკვეთა იმერეთის მხარეში. 6 თვის მუშაობის შედეგების მიხედვით მხარე სერიოზულად გავაკრიტიკეთ, მათ შორის, ქუთაისიც და სასიხარულოა, რომ ახლა (გუშინ მქონდა თემურ შაშიაშვილთან საუბარი) გამოიკვეთა საკმაოდ კარგი და იმედისმომცემი ტენდენციები.

ივლისში, წინასწარი მონაცემებით, წარმოებულია 55 მილიონზე მეტი ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც თითქმის 23 პროცენტით აღემატება წლის პირველი ნახევრის საშუალო-თვიურ მაჩვენებელს. მომუშავე სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა განვლილ თვეში 53 ერთეულით გაიზარდა. მე, ალბათ, რადიომსმენელებს ცოტა თავს ვაბეზრებ ამ ციფრებითა და პროცენტებით, მაგრამ, ეს ყველაფერი იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო სხვა დონეზე ცხოვრობს და მუშაობს და უახლოეს დროში მთელი ჩვენი მოსახლეობა ამის შედეგებს უდავოდ იგრძნობს.

მრეწველობის დეპარტამენტის საწარმოებში, რაც ქვეყნის მრეწველობის მეხუთედს შეადგენს, 7 თვის შედეგებით მიღწეულია წარმოების მოცულობის 1,5-ჯერ ზრდა.

გარკვეული გამოცოცხლება იგრძნობა ექსპორტის ზრდის მიმართულებითაც. კერძოდ, „სამტრესტმა“ მოსკოვში გაგზავნა მაღალხარისხოვანი ღვინოები. წლის ბოლომდე სულ ნავარაუდევია 5 მილიონი ბოთლის მიწოდება, რაც საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ტრადიციული ბაზრის აღდგენის ნიშნებს მოწმობს. ესე იგი, თუ ჩვენ ამ წამოწყებას ბოლომდე მივყვებით (უნდა გითხრათ, რომ აქ ბატონმა ბაკურ გულუამ და სხვებმა დიდი სამუშაო შეასრულეს), შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ბაზარი იქნება, საქართველოში მევენახეობა და მეღვინეობა გადარჩება. ამგვარი ტენდენციები შეინიშნება მეჩაიეობაშიც. პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების თანახმად, ივლისში ფირმა „აის-95“ თურქმენეთში გაგზავნა 502 ტონა ჩაის მზა პროდუქცია, გასაგზავნად მზად არის კიდევ 300 ტონა, მაგრამ, სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით, 7 აგვისტოსათვის სულ მოკრეფილია 20 ათას ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ წლიური პროგრამის 50 პროცენტი. დიდი ჩამორჩენები აქვთ ჩოხატაურის, წყალტუბოს ზონის, ზუგდიდის, ქობულეთის, წალენჯიხის, მარტვილის, ხობის რაიონებს, რისი გამოსწორებაც ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ ახლახან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით წლეულს უზბეკეთსაც უნდა მივაწოდოთ 2000 ტონა ჩაის პროდუქცია. უნდა გითხრათ, რომ უზბეკეთი მზად არის არა მარტო ჩაი მიიღოს ჩვენგან, არამედ გააფორმოს ხელშეკრულება 50 მილიონი ბოთლი „ბორჯომის“ მისაღებად. დაინტერესებულია სხვა პროდუქციითაც, რომელსაც საქართველოში ვაწარმოებთ.

და, ბოლოს, ელექტროენერგეტიკის სექტორში ჰიდროსადგურები ახლა მთლიანად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. მიმდინარეობს თურქეთისა და აზერბაიჯანის ვალის ნაწილობრივ დაფარვაც. მაგრამ ენერგეტიკაში პრობლემათა სიმწვავე მთლიანად კვლავ და კვლავ არ ნელდება. დამაკმაყოფილებელი არ არის ზამთრისათვის მზადების სამუშაოთა მასშტაბები და ტემპები, რაც უცხოელი პარტნიორების დახმარებასთან ერთად საკუთარი ძალებითა და სახსრებით შესასრულებელ მნიშვნელოვან სამუშაოებსაც გულისხმობს. მით უმეტეს, რომ მარტო ზამთარში თბოელექტროსადგურების ფუნქციონირებისათვის საჭირო სათბობის შესაძენად უწყებას 60 მილიონი ლარი სჭირდება. ეს ნიშნავს, რომ გადახდილი უნდა იქნეს პრაქტიკულად ყოველი მოხმარებული კილოვატსაათის საფასური, რაც მოითხოვს ელექტროენერგეტიკის რესტრუქტურიზაციის თაობაზე პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროულ და თანამიმდევრულ შესრულებას.

უნდა ითქვას, რომ პირველი დავალებების რეალიზაციის დრო უკვე დადგა. ეს საკითხი სისტემატურად უნდა მოვისმინოთ მთავრობის სხდომაზე. მე ასე ვიტყოდი, მთავრობის ყოველ სხდომაზე მოვისმენთ სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის ინფორმაციას და მოსახლეობა ყოველკვირეულად იქნება ინფორმირებული, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ზამთრისათვის. ყოველგვარი რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის შედეგი უნდა იყოს, უწინარესად, მომავალი ზამთრის სეზონში უკეთესი მაჩვენებელი და ამ სეზონის უდანაკარგოდ გავლა.

— ვიდრე შემდეგ კითხვას დაგისვამდეთ, მინდა ერთი საკმაოდ მოზრდილი ციტატა წაგიკითხოთ: „როდესაც ასე გვიჭირს საქართველოს, ებრაელები უზრუნველყოფილად ცხოვრობენ, მაგრამ არა მათი ნამუსიანი შრომითა და სუფთა კომერციით, არამედ გაუთავებელი ვამპირული ილეთებით... ახლოვდება ჟამი, როდესაც მოსალოდნელია გასაქცევი ვერსად იპოვონ ებრაელებმა. ყოვლად გადაღლილი მსოფლიო მათ წინააღმდეგ აღდგება, რაც მოხვდებათ ხელში — ჩანგლებით, თეფშებით, ჩაქუჩით... თუკი ისინი კვლავაც გააგრძელებენ საქართველოს ვამპირულ წამებას, თუკი ისინი გააგრძელებენ საქართველოს ფინანსურ რბევას და ზომბირებას, რითაც ჩვენი საქართველო იგუდება, ისეთი პროცესები მწიფდება საზოგადოებაში, დედა შვილს ვერ იცნობს ცოტა ხანში“ და, კიდევ, ერთი: „წყალს გვიკეტავენ და თუ მოგვცემენ — მოწამლულს. ელექტროდენს არ გვაძლევენ და თუ ჩართავენ — გვაწვალებენ, შრომას არ გვაცლიან, რამეთუ დააბეჩავეს სრულიად ხალხი. ებრაელი მკაცრად დაისჯება, რადგან ყველაფერს იმახსოვრებს ბუნება. აზრზე მოდით, ადამიანებო, ებრაელია ყველა დიდი სიბინძურის თავი“. ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც ეს ციტატა ახლა მოისმინა. ეს არ გახლავთ ციტატა ძველი, ფაშისტური გამოცემიდან. ეს არის გაზეთი, რომელსაც ჰქვია „ნოე“, და, რომელიც, სხვათა შორის, რეგისტრირებულია თბილისში, დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ. ეს, ალბათ, ხაზგასმით უნდა ითქვას, რადგან, დღეს, როცა პრესის თავისუფლებაზე ამდენს ვლაპარაკობთ და ადამიანის ძირითადი აზრის გამოთქმის უფლება, ალბათ, გარანტირებული უნდა იყოს ჩვენს საზოგადოებაში, და მეტსაც გეტყვით. პრეზიდენტი, ალბათ, საერთოდ ნაკლებად უნდა ერეოდეს ამგვარ რამეში, აქ უკვე ისეთ გამოცემასთან გვაქვს საქმე, რომელიც, ჩემი აზრით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. ეს არის წერილი, რომელიც გარკვეული ერის წინააღმდეგ არის მიმართული. არაფერს ვამბობ ტრადიციულად ქართველებისა და ებრაელების არაჩვეულებრივ ურთიერთობაზე, იმ დიდ ყურადღებაზე, რასაც ისრაელის სახელმწიფო, თავად პრობლემების წინაშე მდგარი სახელმწიფო იჩენს საქართველოს მიმართ. ეს თქვენი ვიზიტის დროსაც გამოვლინდა და ასე შემდეგ. ეს არის ელემენტარული ქსენოფობია, ელემენტარული სურვილი გარკვეული ერის დევნისა, და ეს, უბრალოდ, საშიშია. სამწუხაროდ, მე არ ვიცი, ვის ეხება ეს კონკრეტულად, მაგრამ ასეთი გაზეთები გამოდის არაჩვეულებრივ ქაღალდზე, იბეჭდება და ვრცელდება...

— მე გუშინ წავიკითხე, ახლა თქვენ მოგისმინეთ. როცა ვკითხულობ და ვისმენ, მრცხვენია, მრცხვენია, რომ ეს ჩემს ქვეყანაში დაიბეჭდა. 20 საუკუნეზე მეტია ქართველები და ებრაელები ერთად ცხოვრობენ. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, მრავალტანჯულ და მრავალჭირნახულ საქართველოში. 20 საუკუნეზე მეტია ვამაყობთ ჩვენი უძველესი ხალხების ძმობის სახელოვანი ტრადიციებით. რომელმა ქართველმა არ იცის, რომ ებრაელობამ უნიკალური წვლილი შეიტანა კაცობრიობის განვითარებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ყოფითსა თუ საერთო კულტურაში. უამწვლილოდ წარმოუდგენელია თანამედროვე და მომავალი ცივილიზაციები. ამ ხნის განმავლობაში არაფერი იმის მსგავსი, რაც გაზეთში დაბეჭდილი არავის წაუკითხავს, არავის გაუგონია და არავის უთქვამს საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, რაც მე წამიკითხავს, ამის მსგავსი არაფერი დაწერილა. სულის სიღრმემდე აღმაშფოთა გაზეთში გამოქვეყნებული, რა დავარქვათ ამას, მონაჭორისა თუ მორომშილის უცერემონიო, თავხედურმა შინაარსმაც და ფორმამაც. საერთოდ, ცილისწამებამ, შეურაცხყოფამ, ადამიანების ღირსების შელახვამ, რაც ასე დამახასიათებელი იყო ძველი პარლამენტის ერთი ნაწილისათვის, ახლა ცალკეული გაზეთების ფურცლებზე გადაინაცვლა. დემოკრატიის ქვაკუთხედი არა მარტო პიროვნების თავისუფლება და ადამიანთა უფლებების დაცვა გახლავთ, არამედ უფლებათა განსაზღვრულობაც, რა თქმა უნდა, დემოკრატიული საზოგადოების ჩარჩოებში. ეჭვი არ მეპარება, პარლამენტი იზრუნებს ხალხის, პიროვნების, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენელთა დაცვისათვის, ღირსეული პრესის კანონის მიღებისათვის, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე იქნება შედგენილი, სხვანაირად, თუ ამ საქმეს არ მივხედავთ, ფეხქვეშ გათელილი აღმოჩნდება ის დიდი პრინციპები, რომლებზეც ახალი დემოკრატიული წყობა შენდება საქართველოში.

რაც შეეხება გაზეთ „ნოეს“ მონაჩმახს, ცილისწამებას, როგორც ვიცი, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია, და ეს ფაშისტური უხამსობა დაუსჯელი არ დარჩება. მე ამაში დარწმუნებული ვარ ყოველ შემთხვევაში.

ჭეშმარიტად თავისუფალი პრესის განვითარების თვალსაზრისით, საქართველომ გამორჩეული ნაბიჯები გადადგა, მართლაც გამორჩეული. მე ვიცნობ ბევრი ქვეყნის პრესას და ჩვენ შეგვიძლია ამით გარკვეულად ვიამაყოთ კიდეც. ზოგიერთი გაზეთი ამ თვალსაზრისით ეტალონადაც გამოდგება. მაგრამ სენსაციებისადმი, ტყუილისა და ხშირად ცილისწამებისადმი (და ისევ ტყუილების, ისევ სენსაციების ინტერესით) ლტოლვა იმდენად დიდია, რომ ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ის, რაც დემოკრატიული განვითარების ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია (ესე იგი თავისუფალი პრესა) და დავკარგოთ იგი არა იმ მიზეზით, რომ დახურავენ ან რეპრესიები განხორციელდება, არამედ იმ მიზეზით, რომ მისი რეპუტაცია თანდათანობით დაეცემა, ხალხი მას ზურგს შეაქცევს და ეს მონაპოვარი დაიკარგება.

და კიდევ ერთი დასკვნა: ეტყობა ნაადრევად შევწყვიტეთ მასირებული შეტევა პროვინციული ფაშიზმის ფესვების ამოსაძირკვად, რაც ასე ძვირად, ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს ამ ბოლო წლებში. ჩვენ ძალიან ადრე დავივიწყეთ ყველაფერი, რაც უახლოეს წარსულში მოხდა. ზემოთ აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა უფრო შორს მიდის, ვიდრე ფაშიზმი და ფაშისტური იდეოლოგია გახლავთ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ბრძოლა დამთავრებული არ არის პროვინციულ ფაშიზმთან, მაგრამ ეს ბრძოლა უნდა გაძლიერდეს და გაძლიერდება კიდეც და წარიმართება ჩვენ მიერ უკვე მოპოვებული დემოკრატიული ინსტიტუტების ფარგლებში, მათი განმტკიცების, სახელმწიფოს გაძლიერების ნიშნით.

— ასეთი საშინელება დაიბეჭდა ხალხზე, რომელიც ამდენი საუკუნეა ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ტანჯული და დევნილი ხალხი. საქართველოში არც ერთი დარბევა არ მომხდარა მათი და ეს ჩვენ ყოველთვის გვეამაყება. ალბათ, ასე იწყებოდა გერმანიაშიც, სადაც ჩვენზე არანაკლებ კულტურული, განვითარებული ერია, მაგრამ ეს ყველაფერი საშინელებამდე მივიდა. იმ ადამიანებსაც უნდა აემაღლებინათ ხმა ამგვარი წერილების წინააღმდეგ, ვისაც საზოგადოებრიობა აზრს, ჭკუას ეკითხება. დღეს უამრავი გამოცემა, გაზეთია, ყველა მიმართულებისა და მსოფლმხედველობის გამომხატველი. და, ალბათ, მოახერხებენ ისინი ამგვარი წერილების დაბეჭდვას. დაუცველობის მომენტი არ უნდა გაუჩნდეს ქვეყანაში არც ერთ ხალხს. მით უმეტეს ხალხს, რომლისგანაც საქართველოსა და ქართველებს სიკეთის მეტი არაფერი ახსოვთ...

— ჩვენ არავითარ შემთხვევაში, არ გვჭირდება არც შორეული წარსულისა და, მით უმეტეს ახლო წარსულის იდეალიზება. ამის საფუძველი არ გაგვაჩნია. იყო ბევრი რამ საამაყო, იყო ბევრი რამ სამარცხვინოც. უახლოეს ისტორიაში, პროვინციული ფაშიზმის არსებობა ფაქტია და ეს ნუ დაგვავიწყდება. ამიტომ, ამ ფესვების ამოძირკვა კვლავ და კვლავ რჩება ჩვენს უახლოეს, უმწვავეს და უაქტუალურეს პრობლემად. არავითარ შემთხვევაში არა გვაქვს უფლება, დავივიწყოთ ის, რაც საქართველოში მოხდა.

რაც შეეხება ამ პუბლიკაციას, ამ მასალას, მიმაჩნია, რომ არ იქნებოდა ცუდი (ეს, როგორც ვიცი, არ არის ძალიან პოპულარული გაზეთი, და ბევრმა შეიძლება მოსმენით ვერც აღიქვას), რომ რომელიმე სოლიდურმა და მრავალტირაჟიანმა გაზეთმა გადაბეჭდოს იგი, რათა საქართველომ, მთელმა საზოგადოებრიობამ, იცოდეს, როგორი ხალხი ცხოვრობს ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით, როგორ ადამიანებთან ერთად დავდივართ ქუჩაში. ეს ხომ წმინდა წყლის რასიზმია, წმინდა წყლის ფაშიზმია. და ეს ხდება დღევანდელ საქართველოში, რომელიც დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას აშენებს. თავისუფალს ყველასთვის, თავისუფალს ქართველებისათვის, თავისუფალს სომხებისათვის, რუსებისათვის, აზერბაიჯანელებისათვის, ქურთებისათვის, ებრაელებისათვის, სხვებისა და სხვების, ყველა მოქალაქისათვის.

მიმაჩნია, რომ ეს საგანგაშო ზარია და ეს ზარი უნდა შემოვკრათ ყოველ მიზეზჭარეზე.

— და, ბოლოს, ერთი თემა: ძალიან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ატლანტის ოლიმპიადასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა. ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული თქვენი განცხადების გარდა, თქვენი პოზიცია, თქვენი მოსაზრება არ გამოგითქვამთ. გუშინ სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები პირდაპირ ეთერში უპასუხებდნენ, როგორც ჟურნალისტებს, ისე ჩვენს მოსახლეობას. თქვენ, ალბათ, ნახეთ ეს გადაცემა...

— მე მივიღე კიდეც წასვლის წინ ეს დელეგაცია. სურვილი მაქვს, შევხვდე მათ. ცოტა კი დამრჩა მაშინ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ზედმეტად ოპტიმისტური განწყობილებით მიდიოდნენ, მაგრამ ახალგაზრდები ასე უნდა იყვნენ, დიდ საქმეს რომ ეჭიდებიან, დარწმუნებული უნდა იყო კიდეც, დიდ შესაძლებლობებში. და ეს შესაძლებლობანი ნამდვილად არსებობდა. მინდა ვთქვა, რომ ატლანტის ოლიმპიადის მონაწილეებისათვის სახელმწიფომ იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე მას შეეძლო. მხედველობაში მაქვს ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ფინანსები, ძალიან სწორად და სამართლიანად აღნიშნეს ეს ბატონმა კახი ასათიანმა და სხვებმაც. თუმცა, მაღალი მაჩვენებლებისათვის, ის, რაც გაკეთდა, ძალზე ცოტაა. სახელმწიფოები მილიონებსა და მილიარდებს ხარჯავენ იმისათვის, რომ მაღალი მაჩვენებლები მოიპოვონ. ამის მიუხედავად, შედეგები უკეთესი უნდა მიგვეღო. ცოტა დაიხარჯა, მაგრამ მაინც უკეთესი უნდა მიგვეღო, რადგან, ჩვენ სპორტსმენებს პოტენციალი დიდი აქვთ. სპორტსმენები, მწვრთნელები, ხელმძღვანელები, განიცდიან, და, მე ასე ვიტყოდი, დათრგუნული არიან. არ ვფიქრობ, რომ ცეცხლზე ნავთი უნდა დავასხათ. თუმცა, ყოველივე მომხდარის სერიოზული გარჩევა მთავრობის სხდომაზე აუცილებელია, უნდა ვიმსჯელოთ, დავსახოთ ღონისძიებები, მათ შორის, ორგანიზაციული, სტრუქტურული სრულყოფისათვის, რათა თითოეული თეთრი, რასაც ჩვენი მოსახლეობა ხარჯავს ამ მიმართულებით, დანიშნულებისამებრ იყოს წარმართული და მივიღოთ მაქსიმალური ეფექტი.

წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შეგნება, რომ შენს ქვეყანას, შენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენ. ხშირად ისე ვირჯებით, თითქოს სხვა ქვეყნის ინტერესებს ვემსახურებოდეთ. და ეს, სამწუხაროდ, მარტო სპორტსმენებს არ ეხება.

სპორტს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება. ცხოვრების ჯანსაღი წესის მასობრივად დამკვიდრება ქვეყანაში შეუძლებელია მასობრივი, დიდი სპორტის გარეშე. ჩვენს წინაშე სხვადასხვა თაობის ადამიანთა გაჯანსაღების ამოცანა დგას, ახალმა დროებამ ცხოვრების ახალი წესები უნდა დაამკვიდროს და ერთი აუცილებელი პირობა ერის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისა, სწორედ მოსახლეობის სპორტული აღზრდის სახელმწიფო ამოცანის დონეზე დაყენება გახლავთ. მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ყველაფერს ვილონებ იმისათვის, რომ სპორტმა სწორედ ასეთი ადგილი დაიკავოს ჩვენს რეალურ ცხოვრებაში.

საქინფორმი.

აბჯარი

საქართველოს ჰყავს ჯარი, რომელსაც ქვეყნის წინაშე წამოჭრილი სერიოზული პრობლემის გადაწყვეტა შეუძლი

სენაკში გამართული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საშტაბო წვრთნა საეტაპო მოვლენა იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში როგორც თავისი მასშტაბით, ასევე შესრულების ხარისხითაც, — ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრებსა და სწავლების მონაწილეებთან შეხვედრაზე 5-7 აგვისტოს გამართული სამხედრო ოპერაციის შედეგები. ამ შეფასების გადაუჭარბებლობას ადასტურებს ის უდიდესი რეზონანსი, რომელიც ოპერაციას მოჰყვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. გამოხმაურებებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამხედრო წვრთნა გამოხატულებაა საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესისა, რომლის მიზანია, შექმნას ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ინტერესების დამცველი რეალური ძალა.

შეხვედრაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ წარმოადგინა სამხედრო-საშტაბო წვრთნის დაწვრილებითი ანგარიში. თავიანთი შეფასებები პრეზიდენტს გააცნეს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ნუგზარ საჯაიამ. საერთო მოსაზრებით, წვრთნამ საკმაოდ მაღალი დონე აჩვენა და თვალნათლივ დაადასტურა, რომ საქართველოს ჰყავს ჯარი, რომელსაც ქვეყნის წინაშე წამოჭრილი სერიოზული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია.

— განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სწორედ იმ რეგიონის მოსახლეობას, რომელსაც ბევრი რამის გადატანა მოუხდა, საკუთარი თვალით ეხილა, რას წარმოადგენს დღეს საქართველოს ჯარი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, — სახელმწიფოში, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ შეიარაღებული ბანდები დათარეშობდნენ, ძნელი წარმოსადგენი იყო ამგვარი, ორგანიზებული სამხედრო ძალის ჩამოყალიბება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს წვრთნა გარკვეულწილად საუკეთესო საჩუქარიც კი იყო იქაური მოსახლეობისათვის.

საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის გარანტირებული სტაბილურობა სხვა სახელმწიფოთა სტრატეგიულ ინტერესსაც წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ საქართველომ სერიოზული სავაჭრო პარტნიორის სახელი დაიმკვიდროს, მას სტაბილურობის გარანტად სწორედ ავტორიტეტიანი შეიარაღებული ძალები ესაჭიროება, განაცხადა პრეზიდენტმა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავდაცვის სამინისტროს კოლეგიას გაუზიარა თავისი მოსაზრებები არმიის მშენებლობის სხვა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და მთავრობისა და უშიშროების საბჭოს სახელით მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობდა სამხედრო წვრთნის მომზადებასა და მაღალ დონეზე განხორციელებაში.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სურათზე: შეხვედრის დროს. **ბესიკ კეზერაშვილის** ფოტო **(საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

ხიდები

მადლობა, დაფასება, მიწვევა

ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი გაეროს პირველი (უმაღლესი ხარისხის) ასოცირებული წევრია. იგი ფართო მასშტაბის საქმიანობას ეწევა დღევანდელ მსოფლიოში.

23 ივლისს საერთაშორისო ფონდის პრეზიდიუმმა ოფიციალური მიმართვა გამოუგზავნა ქალბატონ ნანული შევარდნაძეს, რომელშიც მადლიერების გრძნობით აღნიშნა მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი ქალბატონის ნაყოფიერი მოღვაწეობა ქალთა საერთაშორისო მოძრაობის, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში.

„ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი ამოცანად ისახავს, — ნათქვამია მიმართვაში, — ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მოზარდი თაობის აქტიური მოქალაქეობრივი და ზოგადსაკაცობრიო პოზიციის ჩამოყალიბებას, პიროვნების შემოქმედებით და სულიერ აღზრდას, დედათა და ჩვილთა დაცვას, დასვენების ქსელისა და ბავშვთა საერთაშორისო ტურიზმის სისტემის გაფართოებას. ფონდი ყალიბდება მიმართულებათა მიხედვით მოღვაწე კომიტეტების საფუძველზე.

ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდის კომიტეტის „დედობა და ბავშვობა“ შემადგენლობაში შევლენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების პირველი ქალბატონები.

ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდიუმი გთხოვთ დათანხმდეთ თქვენს არჩევას ფონდის პრეზიდიუმისა და „დედობა და ბავშვობა“ კომიტეტის შემადგენლობაში“. — ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს ამ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. შეპეტნევი.

ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ პრეზიდიუმს თანხმობის წერილი გაუგზავნა.

მეორე წერილი გაეროს პირველი (უმაღლესი) კატეგორიის ასოცირებული წევრის — ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის საინფორმაციო და საგამომცემლო ცენტრის პრეზიდიუმიდან არის. იგი ქალბატონ ნანულის უდასტურებს თავის პატივისცემას და დიდ მადლობას მოახსენებს საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველ ლედის, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს დემოკრატიულ გარდაქმნებს.

„კარგახსნილობის პოლიტიკის განხორციელება ხელს უწყობს ხალხთა ინფორმაციულ დაახლოებას და მსოფლიო გაერთიანების ნდობის განმტკიცებას განახლებული დემოკრატიული საქართველოსადმი, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას, — ნათქვამია წერილში.

მსოფლიო ენციკლოპედიის „ელიტას“ სარედაქციო საბჭომ, გაითვალისწინა რა თქვენი ღვაწლი საზოგადოების ინფორმატიზაციის დარგში, თქვენი საქველმოქმედო მოღვაწეობა, მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს თქვენი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები „მსოფლიო ენციკლოპედია „ელიტას“ რეესტრში — „ქველმოქმედების ოქროს ფონდში“.

გთხოვთ თანხმობას სარედაქციო საბჭოს დელეგაციის მიღებაზე, ჩვენი თხოვნაა აგრეთვე, თავად განსაზღვროთ „მსოფლიო ენციკლოპედია „ელიტას“ — „ქველმოქმედების ოქროს ფონდის“ საერთაშორისო სერტიფიკატის თქვენთვის გადმოცემის დრო და ადგილი.

წერილს ხელს აწერს, საინფორმაციო და საგამომცემლო ცენტრის პრეზიდენტი ნ. ჟელეზნიაკოვა.



INTERNATIONAL INFORMATIZATION ACADEMY
INTERNATIONAL RECIPROCITY FUND
№ 16 от 23 июля 1996 года

INTERNATIONAL INFORMATIZATION ACADEMY
INFORMATION & PUBLISHING CENTRE
№ 11 от 23 июля 1996 года

„ერთიანი ძალისხმევით, მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ ტერორიზმის სენს და დავდგეთ მშვიდობის სადარაჯოზე“

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **უილიამ ჯ. კლინტონმა** წერილი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს **ედუარდ შევარდნაძეს.** წერილში, კერძოდ, ნათქვამია:

„პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

მადლობას გიხდით იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოხატეთ საუდის არაბეთში ალ-კობარის სამხედრო შენაერთის ტერორისტული დაბომბვის მსხვერპლთა და დაშავებულთა ოჯახებისადმი. მსგავსი მრისხანე შეტევა მიმართულია მთელი მსოფლიოს ცივილიზებული ერების წინააღმდეგ და საზარელი შეხსენებაა იმისა, რომ ჩვენ ყველანი ტერორისტული ჭირის საშიშროების წინაშე ვიმყოფებით. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვაშინოს მსგავსმა ფაქტებმა. ერთიანი ძალისხმევით მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ ტერორიზმის სენს და დავდგეთ მშვიდობის სადარაჯოზე — მშვიდობისა, რომელიც უფრო ძლიერია ვიდრე შიში, სიძულვილი და ტერორი. ამერიკის შეერთებული შტატები მოწოდებულია ამხილოს და გაასამართლოს ყველა ის პირი, ვინც პასუხისმგებელია ამ ღირსი აქტის მოწყობისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით მივაღწევთ ერთიან წარმატებას.

ამერიკელი ხალხისა და იმ ოჯახების სახელით, ვინც დაკარგა საყვარელი ადამიანები, კვლავ გიხდით მადლობას მხარდაჭერისა და თბილი სიტყვებისათვის“.

აშშ საელჩო გვატყობინებს

ამიერკავკასიის საკითხი — წარმომადგენელთა პალატაში

აშშ კონგრესი: შთამბეჭდავია ედუარდ შევარდნაძის მიღწევები რეფორმების დარგში, დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში



ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტმა განიხილა აშშ პოლიტიკა ამიერკავკასიაში. რეგიონში ამერიკის ეკონომიკური და დიპლომატიური ძალისხმევის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დარგში სახელმწიფო დეპარტამენტის კოორდინატორის მოადგილე ჯონ ჰერბსტი. რეგიონის კონფლიქტების მოგვარებისათვის აშშ-ს დახმარებაზე ილაპარაკა ამერიკის სპეციალურმა რწმუნებულმა მთიანი ყარაბაღის საკითხებში ელჩმა ჯონ პრესელმა.

ჰერბსტი შეეხო ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს ამ სახელმწიფოებთან დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა უმაღლეს დონეზე, კერძოდ, პრეზიდენტი კლინტონი და ვიცე-პრეზიდენტი გორი არაერთხელ შეხვედრიან პრეზიდენტებს შევარდნაძეს, ალიევს და ტერ-პეტროსიანს. თქვა, რომ შეერთებული შტატები ახორციელებს ძლიერ, ფართო საფუძველზე დამყარებულ პოლიტიკას ახალ, დამოუკიდებელ ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს დამანგრეველი ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობას, აყვავებული საბაზრო ეკონომიკის, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და, აგრეთვე, რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის უფრო ფართო საფუძვლების შექმნას.

შემდეგ მომხსენებელმა მოკლედ მიმოიხილა ამ რეგიონის წარსული და აწმყო, თქვა, რომ ამ მთიანი კუთხის 17 მილიონიან მოსახლეობას უძველესი პოლიტიკური და კულტურული წარსული აქვს, 3000 წელიწადზე მეტს რომ ითვლის, იგი ნათლად და მკაფიოდ შეიგრძნობს თავის ისტორიულ ფესვებს, რომელიც აბსოლუტური სიმკვეთრით იჩენს თავს მის დღევანდელ ძალისხმევაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შესაქმნელად. საქართველო და სომხეთი იმ პირველ სახელმწიფოთა შორის იყვნენ, ვინც ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს თავიანთი ეროვნულ რელიგიად აღიარეს ქრისტიანობა. განათლების სფეროში უძლიერესი ტრადიციების მქონე სამივე სახელმწიფომ უდიდესი მიღწევები მოიპოვა კულტურისა და ხელოვნების დარგში.

ამიერკავკასია, უდიდესი ეკონომიკური პოტენციალითა და მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიულად იზიდავდა თავისი უფრო დიდი მეზობლების, პირველ რიგში რუსების, ირანელებისა და თურქების ყურადღებას. ამ რეგიონმა მტკივნეული გაკვეთილი იწვნია წარსულში. გარეშე ძალებს არაერთხელ უცდიათ განხეთქილება და არასტაბილურობა გამოეწვიათ კავკასიაში საკუთარი იმპერიალისტური ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

დღეს თამაშის სულ სხვა წესების დრო დადგა. ამიერკავკასიის სახელმწიფოებს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც გაეროს, ეუთოს და მთლიანად საერთაშორისო გაერთიანების სხვა წევრებს. სწორედ აშშ პოლიტიკა უწყობს ხელს ამ უფლებების დაცვას და საფუძველშივე ახშობს უცხო მცდელობებს ძირი გამოუთხარონ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას. ჩვენ ამ რეგიონში გავლენის სფეროების კონცეფციის გადაჭრით წინააღმდეგი ვართ.

შემდეგ ჰერბსტმა ცალცალკე ილაპარაკა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაზე. აი რა თქვა მან, კერძოდ, საქართველოს შესახებ:

„ეკონომიკა:

1991 წლიდან დაწყებული, როდესაც მან დამოუკიდებლობა მიიღო, საქართველოს სულს უხუთავს სამოქალაქო ომი და არასტაბილურობა. ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას კიდევ უფრო აძნელებს ინფრასტრუქტურის გაჩანაგება და რეფორმების მიმართ კორუმპირებულ ელემენტთა წინააღმდეგობა. მიუხედავად ამისა, ბოლო წლინახევრის განმავლობაში საქართველომ პრეზიდენტ შევარდნაძის ხელმძღვანელობით შთამბეჭდავი წარმატებები მოიპოვა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად თბილისმა შეძლო ინფლაციის ტემპის შემცირება, ახალი სტაბილური ვალუტის შემოღება, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მომზადება და მიიღო კანონმდებლობა, რომელიც აჩქარებს საბანკო რეფორმის, აგრეთვე მიწისა და გადასახადების საკითხთა მოგვარებას.

აშშ მხარს უჭერდა ამ რეფორმებს, უწევდა საქართველოს ჰუმანიტარულ და ტექნიკურ დახმარებას, რომელმაც 1992 წლიდან 400 მლნ. დოლარს გადააჭარბა. როდესაც საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო მკვეთრი ეკონომიკური დაქვეითება, ჩვენ ამ ქვეყანას აღმოვუჩინეთ ჰუმანიტარული დახმარება, უზრუნველვყავით ქვეყნის საარსებო მოთხოვნილება მარცვლეულზე. ტექნიკურ დარგში, რომელსაც ვცდილობთ მაქსიმალური მნიშვნელობა მივანიჭოთ, ჩვენ ვესწრაფვით რეფორმების გატარებისაკენ მიმართულ ინიციატივებს. ბოლო ხანებში, ასეთი დახმარების გაწევისათვის წამოვაყენეთ ზოგიერთი პირობა, კერძოდ, იმ მიზნით, რომ ხელი შევუწყოთ არაეფექტიანი სახელმწიფო მონოპოლიების დაშლას და პრივატიზაციას, ენერგიაზე სახელმწიფო მონოპოლიისა და პურის წარმოების სახელმწიფო კორპორაციის ჩათვლით.

საქართველოს მთავრობა ცდილობს უცხოური ინვესტიციების აქტიურად მიზიდვას. აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის და მისი ქართული კონტრაჰენტის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ წლეულს მარტში, თბილისში ხელმოწერილი შეთანხმებები საფუძველს უყრიან კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის საჭირო დასავლეთის მილსადენის მშენებლობას; ამ შეთანხმებას უკვე მოჰყვა გარკვეული შედეგი. აზერბაიჯანში ნავთობის საზღვაო საბადოების დასამუშავებლად განკუთვნილი მასალების პირველმა პარტიებმა უკვე გაიარა საქართველოზე ტრანზიტით შავი ზღვიდან ბაქომდე. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ნათლად აგრძნობინა ყველას, რომ აპირებს მილსადენის მშენებლობა გამოიყენოს საქართველოს ხელმიშვებული რკინიგზებისა და საავტომობილო გზების მოდერნიზაციისათვის, რათა მოახდინოს მათი ინტეგრირება ევრაზიის სავაჭრო სისტემაში. აშშ-მა უკვე აღმოუჩინა მათ ძალზე საჭირო დახმარება მილსადენის მშენებლობისა და ენერგეტიკული სექტორის რეფორმირების საკითხში. ჩვენ განვაგრძობთ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობას, რომელიც ამ რეგიონში მნიშვნელოვანი ფაქტორი და პარტნიორი ხდება.

პოლიტიკური რეფორმები:

შთამბეჭდავია შევარდნაძის მიღწევები პოლიტიკური რეფორმების სფეროში. შარშან ნოემბერში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ, რომლებიც სანდო დამოუკიდებელ მეთვალყურეთა აზრით ყველაზე დემოკრატიული და პატიოსანი არჩევნები იყო კავკასიასა და შუა აზიაში, შევარდნაძე მუშაობს საქართველოს რეფორმატულ მთავრობასთან, ებრძვის დამნაშავეობას და კორუფციას, ცდილობს უფრო მაღალი სტანდარტები დაამკვიდროს ადამიანის უფლებათა დარგში და შექმნას ქვეყნის რეფორმირებისათვის საჭირო მთელი რიგი ინიციატივების სარეალიზაციოდ აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლები. ჩვენ ვმუშაობთ, რათა ჩვენი დახმარება ამ პოლიტიკის მხარდასაჭერად მივმართოთ. ასეთი დახმარების მაგალითია გადაწყვეტილება, რომ პრიორიტეტი მივანიჭოთ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. ამის ერთ-ერთი ფორმაა დახმარება პარლამენტარებისადმი, რომლებიც მუშაობენ კანონებზე 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის ნორმების დასამკვიდრებლად. დასახულია 1997 წელს ჩატარდეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები და ჩვენ განვაგრძნობთ პარლამენტარებთან და ადგილობრივ ხელმძღვანელებთან თანამოქმედებას, რათა ამ არჩევნებმა განამტკიცოს დემოკრატია საქართველოში.

ამავე დროს ჩვენ განვაგრძობთ საქართველოზე ზეწოლას, რათა წავაქეზოთ იგი გააუმჯობესოს ადამიანის უფლებების სფეროში არსებული არაკეთილსასურველი ვითარება. თუმცა საქართველოს აქვს რელიგიათაშორისი და ეთნოსთაშორისი შემწყნარებლობის შესანიშნავი ტრადიციები, მისი სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის ციხეთა ზედამხედველობის მოქმედება სასურველ დონეზე ვერ დგას. ამ სფეროში რომ გაუმჯობესება არ ხდება, ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ გარკვეულ ძალებს არ სურთ დაკარგონ გავლენა, რომელიც ძველი რეჟიმის დროს ჰქონდათ. შევარდნაძემ, გასული წლის აგვისტოში მისი სიცოცხლის ხელყოფის შემდეგ, როცა იგი კინაღამ დაიღუპა, შეუტია ამ ძალებს და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენ ვმუშაობთ პარლამენტთან და სასამართლოებთან, რათა შევქმნათ ძველი რეჟიმის უფრო ძლიერი ალტერნატივები და შემდგომშიც ვიმოქმედებთ ამ მიმართულებით“.

* * *

ამიერკავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების შესახებ კომიტეტს მოახსენა აშშ-ს სპეციალურმა რწმუნებულმა მთიანი ყარაბაღის საკითხებზე ელჩმა ჯონ პრესელმა.

მისი თქმით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიამ გადაიტანა „ხუთი სრულმასშტაბიანი ომი, უამრავი კონფლიქტური სიტუაცია დაუთვალავი ეთნიკური კონფლიქტი“. ამას შედეგად 17-მილიონიან რეგიონში 1,3 მილიონზე მეტი იძულებით ადგილნაცვალი პირი გაჩნდა. ეთნიკური კონფლიქტები კავკასიაში შედეგია დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ნაციონალიზმისა, რომელმაც თავი აიშვა იმპერიის დაშლის შემდეგ. ასეთმა თავაშვებულმა ნაციონალიზმმა გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი და იუგოსლავიის დღევანდელი ტრაგედია. ტრაგიკული რეგიონული კონფლიქტების გაგრძელება დიდ საფრთხეს უქმნის ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და აგრეთვე, ამერიკის ინტერესებს. აი, რატომ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი პლანეტის შორეულ კუთხეში მიმდინარე კონფლიქტები.

პრესელმა მიმოიხილა კონფლიქტების წარმოშობის ისტორია და მიმდინარეობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და, კერძოდ, საქართველოს შესახებ აღნიშნა:

„ანალოგიურად ომები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დაიწყო მიზეზების მთელი კომპლექსის შედეგად, ისეთებისა, როგორიც არის ეთნოსთა შორის დაძაბულობა. ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი არასტაბილურობა და საბჭოთა იმპერიის დაშლა. საქართველოში შეიარაღებულ ფორმირებათა ხელმძღვანელები, რომლებიც გახელისუფლდნენ საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ეროვნული ბრძოლის შედეგად და, რომლებმაც 1992 წლის იანვარში თანამდებობიდან გადააყენეს პრეზიდენტი გამსახურდია, არ მოისურვეს ეს ძალაუფლება გადაეცათ ედუარდ შევარდნაძისათვის, როცა მან 1992 წელს მარტში თავისი პოსტი დაიკავა. დაშლილ და არასტაბილურ ახალ მთავრობას უნარი არ აღმოაჩნდა წარემართა კამპანია სეპარატისტთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ დროისათვის უკვე აქტიურად მოქმედებდნენ სამხრეთ ოსეთში, და გადაწყვიტა ცეცხლის შეწყვეტა იმავე წლის ივნისში, რის შედეგადაც რუსეთის ჯარს გადაეცა სიტუაციის კონტროლი ეუთოს მეთვალყურეობით.

მაშინ თავდაცვის მინისტრმა კიტოვანმა გადაწყვიტა სამხედრო საშუალებებით გაეცა პასუხი აფხაზეთის მხრივ დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის, რის შედეგადაც დაიწყო ომი, რომელიც მხოლოდ 1992 წლის სექტემბერში შეწყდა. ამასთან საქართველოს ჯარი და ყველა ეთნიკური ქართველი, ოდესღაც რაიონის მოსახლეობის ძირითად ნაწილს რომ შეადგენდნენ, მძიმე დანაკარგებით განდევნეს აფხაზეთიდან“.

პრესელი თავის გამოსვლაში აჯამებს ამ კონფლიქტებით გამოწვეულ მძიმე შედეგებს, აღწერს ასობით ათასი ლტოლვილის გაუსაძლის მდგომარეობას. ამბობს, რომ ომებმა შეიწირეს ამ ქვეყნების სუსტი ეკონომიკური სისტემების ისედაც მწირი რესურსები, განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა სატრანსპორტო არტერიების ბლოკადას. კონფლიქტებმა მძიმე პოლიტიკური შედეგებიც გამოიწვია, ისინი ხელს უშლიან ამ ქვეყნებს, რომ მათ თავიანთი თავი დამოუკიდებლად ჩათვალონ, სიცოცხლეს უხანგრძლივებენ გავლენის სფეროებისათვის ბრძოლის პრინციპებს. ამერიკა უარყოფს მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფის იდეას. სწორედ ამიტომ აშშ აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული კონფლიქტების გადაწყვეტაში, კერძოდ:

„შეერთებულმა შტატებმა იკისრა, წამყვანი როლი შეესრულოს საქართველოში მშვიდობის დამკვიდრების ძიებაში. ჩვენს წარმომადგენლებს აქტიური პოზიცია უკავიათ „საქართველოს მეგობრების“ ჯგუფში როგორც თბილისში, ისე გაეროში. ეს არის დიდი დასავლეთის სახელმწიფოების არაოფიციალური ჯგუფი, რუსეთის ჩათვლით, რომელიც დაახლოებით იმავე ფუნქციებს ასრულებს, როგორც საკონტაქტო ჯგუფი ბოსნიაში. ჩვენი ელჩი თბილისში ახლახან ორჯერ ეწვია აფხაზეთს — ერთხელ „საქართველოს მეგობრების“ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად და მეორედ მხოლოდ აშშ-ს დელეგაციის შემადგენლობაში. ჩვენი ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ მხარეებს სერიოზული და რეალური მოლაპარაკებებისაკენ უბიძგოს. დღემდე მოლაპარაკებები გაეროს სპონსორობითა და რუსეთის შუამავლობით, არაპროდუქტიული აღმოჩნდა. ამერიკელი დიპლომატები მუშაობენ საქართველოში ეუთოს მისიაში, რომელსაც ევალება თვალყური ადევნოს ოსეთში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შესრულებას. ერთი ჩვენი სამხედრო პირი შედის გაეროს მეთვალყურეთა ჯგუფში, რომლებიც თვალყურს ადევნებენ აფხაზეთში დაზავების დაცვას და მთლიანად რუსი სამხედრო მოსამსახურეებისაგან შედგენილი დსთ-ს სამშვიდობო ძალების საქმიანობას“.

დასასრულს, პრესელი შეეხო რუსეთის როლს ამ რეგიონში კონფლიქტების წარმოშობაში. აღნიშნა, რომ მხარეები, განსაკუთრებით საქართველო და აზერბაიჯანი, რუსეთს ადანაშაულებენ ამ კონფლიქტების გაღვივებაში. ქართველები მიანიშნებენ რუსეთის მონაწილეობაზე აფხაზეთის კონფლიქტში, რაც, კერძოდ, იმით გამოიხატა, რომ რუსეთის სამხედროები დაეხმარნენ აფხაზეთს სოხუმის აღებაში. ამიერკავკასია რუსეთს ესაზღვრება, რაც დეკოლონიზაციის პროცესს უფრო პრობლემურს ხდის, მაგრამ ხუთი წლის მანძილზე სიტუაცია შეიცვალა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო ინსტიტუტები ნელნელა საკუთარ სახეს იძენენ. მოვლენათა ასეთ მსვლელობას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ამ კონფლიქტებისადმი რუსეთის მიდგომაზე. მაგალითად, აფხაზეთში მშვიდობისმყოფელი რუსეთის ძალები ზუსტად ასრულებენ თავიანთ მანდატს და არ გადაიქცნენ ექსპანსიონიზმის იარაღად, როგორც ამისა ბევრს ეშინოდა.

ჩვენ ვთვლით, რომ კარგი სახელმწიფოებრივი ურთიერთობა ამიერკავკასიის სახელმწიფოებისა და რუსეთს შორის პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს მშვიდობის ძიებაზე. ეს ძიება ხვალ არ დამთავრდება. საქმე მძიმედ მიდის. ამერიკა ძალისხმევას არ იშურებს ამ ნელ, ძნელ და უმადურ, მაგრამ აუცილებელ შრომაში და სულ უფრო ცხადი ხდება ის სარგებლობა, რაც რეგიონულ თანამშრომლობას მოსდევს.

- **საელჩოს საინფორმაციო ბლოკის მასალები იბეჭდება შემოკლებით.**

სომხეთი

უცხოური წარმოშობის ფული

სომხეთის კომერციული ბანკების 5 მილიარდ 509 მილიონ 916 ათასი დრამი საერთო მოცულობის საწესდებო კაპიტალის დაახლოებით 65 პროცენტი უცხოური წარმოშობისაა. ამას იტყობინება სომხეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის მოადგილე რუბენ ბალესიანი. 1995 წლიდან ეს მაჩვენებელი ოთხჯერ გაიზარდა, მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ამის მიუხედავად სომხეთში 1984 წელს აღრიცხული 70 კომერციული ბანკიდან 42 ბანკმა შეწყვიტა საქმიანობა, ახლები კი სულ ხუთი შეიქმნა, მათ შორის უცხოეთის კაპიტალითაც. ახლა რესპუბლიკაში 39 კომერციული ბანკი მოქმედებს.

სასულიერო საკვირაო სკოლები

სრულიად სომხეთის კათალიკოსის გადაწყვეტილებით და სომხეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სრული თანხმობით სტეფანავანში შეიქმნა ქრისტიანული აღზრდის ცენტრის ფილიალი. აქ ახალი სასწავლო წლის დამდეგიდან იმოქმედებს ორი საკვირაო სკოლა ბავშვებისა და მასწავლებლებისათვის, რომლებიც შეისწავლიან ბიბლიასა და სხვა საეკლესიო ლიტერატურას. მასწავლებლები კურსების დამთავრების შემდეგ თავიანთ მოსწავლეებს ასწავლიან საღმრთო სჯულს.

„სომხური თემები რუსეთში“

გამომცემლობა „მიქელ ვარანდიანმა“ გამოუშვა ჟ.ანანიანისა და ვ.ხაჩატურიანის წიგნი „სომხური თემები რუსეთში“. გამოკვლევა ეძღვნება X - XI საუკუნეებიდან დღევანდლამდე რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე თემების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას. წიგნში წარმოდგენილია კიევის, მოსკოვის, ყირიმის, ყაზანის, ლვოვის, ასტრახანის, პეტერბურგის, ყიზლარის, მოზდოკის, ოდესის, კიშინიოვის, სტავროპოლის, ეკატერინოდარის, პიატიგორსკის, მეფის რუსეთში შემავალი სხვა ქალაქების სომხური თემების ისტორია.

აზერბაიჯანი

მეწყერი საფრთხეს უქმნის კომუნიკაციებს

ბაქოში, ბაილოვის დასახლებაში მდებარე პარკის რაიონში მეწყერის შედეგად მთის ნაწილი ჩამოიშალა. მთლიანად და ნაწილობრივ დაინგრა ათზე მეტი შენობა. მსხვერპლის შესახებ ცნობები არ არის. მწყობრიდან არის გამოსული ავტოტრასის ნაწილი.

ბაქოს მერიამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა ამ რაიონში კიდევ ერთი მეწყერის შესაძლებლობის გამო. ეს დანგრევის საფრთხეს უქმნის გაზის, სათბობისა და მაღალი ძაბვის კომუნიკაციებს, რომლებიც ბაილოვის დასახლებას ქალაქის დანარჩენ ნაწილთან აკავშირებენ, აგრეთვე აქ მდებარე გემთსაშენ ქარხანას. ექსპერტთა აზრით მეწყერი გამოიწვია წყალქვეშა კომუნიკაციებიდან წყლის გადინებამ, რის შესახებაც ხელისუფალთ არაერთგზის აფრთხილებდნენ, მაგრამ არავითარი ზომები არ მიუღიათ.

სავაჭრო ურთიერთობა: ციფრები მოწმობს

წლის დამდეგიდან აზერბაიჯანის საერთო საქონელბრუნვამ 700 მილიონ დოლარს გადააჭარბა, უარყოფითმა სალდომ 120 მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა. იმპორტის ოპერაციებში რესპუბლიკის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან არაბეთის გაერთიანებული საამიროები (საერთო იმპორტის 20 პროცენტამდე), თურქეთი (19 პროცენტი), რუსეთი (10,5 პროცენტი), ირანი (7,6 პროცენტი), უკრაინა (8,4 პროცენტი), ექსპორტში — რუსეთი (14 პროცენტი) საქართველო (12 პროცენტი), უკრაინა (8,4 პროცენტი), ირანი (7,6 პროცენტი), ავსტრია (1,8 პროცენტი), იტალია (5,7 პროცენტი) დიდი ბრიტანეთი (4,8 პროცენტი).

შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი

ამ დღეებში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესმა კომისარიატმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ. დოკუმენტი სამართლებრივ საფუძველს უქმნის აზერბაიჯანში უმაღლესი კომისარიატის საქმიანობას და განსაზღვრავს ორმხრივი თანამშრომლობის მიმართულებებს. აზერბაიჯანული წყაროების მონაცემებით, აზერაბაიჯანში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა რიცხვი მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის მილიონ კაცს აღემატება.

საზღვარგარეთ

ბაბურინი უარს ამბობს ოპოზიციონერობაზე

სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილემ, რუსეთის საერთო-სახალხო კავშირის ლიდერმა სერგი ბაბურინმა უარი თქვა შეუერთდეს გენადი ზიუგანოვის ახალ პატრიოტულ კავშირს. მიუხედავად იმისა, რომ ზიუგანოვი არჩევნების ორ ტურს შუა პერიოდში ბაბურინს კომუნისტთა სათადარიგო მთავრობის ერთ-ერთ პოსტს სთავაზობდა, იგი გამუდმებით აკრიტიკებდა კომპარტიას. ახლა კი განაცხადა, თუ შესაფერის წინადადებას მივიღებ, მზად ვარ ელცინის ახალ მთავრობაში შევიდეო.

რუსეთი აშშ საგადასახადო ორგანოებს უჩივის

რუსეთის ფასიანი ქაღალდებისა და ძვირფასი ლითონების სახელმწიფო კომიტეტმა სასამართლოში უჩივლა აშშ შინაგან საგადასახადო სამსახურს ამერიკის კომპანია „გოლდენ ადას“ აქციების გაყიდვის გამო. 1992-1994 წლებში რუსეთმა ამ კომპანიას შემდგომი დაწახნაგებისათვის გადასცა 171 მილიარდი დოლარის დაუმუშავებელი ალმასები, მაგრამ სანაცვლოდ არ მიუღია არც ფული და არც პატიოსანი თვლები, ვინაიდან კომპანიის უპატიოსნო მფლობელები მიიმალნენ. ატყდა სკანდალი, რომლის შედეგადაც 1996 წელს კორუფციის ბრალდებით თანამდებობიდან გადააყენეს რუსეთის კომიტეტის თავმჯდომარე ევგენი ბიჩკოვი, ხოლო კომპანიის 60 მილიონი დოლარის უძრავ-მოძრავი ქონება წაიღო აშშ საგადასახადო სამსახურმა.

ერთად იბრძოლებენ ნარკობიზნესის წინააღმდეგ

აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ირანის მხარეს შორის დაიდო შეთანხმება ნარკოტიკების ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმების დეტალებზე არაფერს იუწყებიან.

რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარი კვლავ გაიხსნება

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი შეხვდა მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს. მათ ერთად განიხილეს აზერბაიჯანელთა ამასწინანდელი დაკავების აქციები დამნაშავეობასთან ბრძოლის ეგიდით. ალიევმა თქვა, რომ ჩერნომირდინი ამზადებს ბრძანებულებათა სერიას რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გასახსნელად, რომელიც ჩეჩნეთის ომის დაწყების შემდეგ ჩაიკეტა.

ლიტვა: ხელის ჭუჭყს ვერ გაათეთრებენ

ევროკავშირი ლიტვას ეხმარება მიიღოს კანონი „ჭუჭყიანი ფულის“ გაწმენდის წინააღმდეგ. რესპუბლიკას განზრახული აქვს მიემხროს გაეროს 1988 წლის კონვენციას ნარკოტიკების გავრცელებით მიღებული უკანონო სახსრებისადმი კონტროლის შესახებ. კონვენციისადმი შეერთების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ფულის გაწმენდის საწინააღმდეგო კანონის მიღება.

ხელმძღვანელებმა ხელქვეითები რომ არ მოატყუონ

ბრიტანეთის მთავრობა გამუდმებით ეძებს თაღლითობასთან ბრძოლის ახალ-ახალ ფორმებს. ამ ცოტა ხნის წინათ გაიხსნა „ცხელი სატელეფონო ხაზი“, რომლითაც მსურველებს შეუძლიათ დარეკონ და მიაწოდონ ცნობები არაკეთილსინდისიერ დამქირავებლებზე, რომლებიც თავიანთ მოსამსახურეებს ატყუებენ. ხაზი სრული სიმძლავრით ამოქმედდება ამ თვის დამლევამდე. დანაშაულობათა მეტი ნაწილი დაკავშირებულია მოსამსახურეთა დაზღვევასთან, რომლებსაც აიძულებენ იხადონ დაწესებულებზე მეტი სადაზღვევო შესატანი და სხვაობას ჯიბეში იდებენ. ბევრი ბიზნესმენი სამუშაოზე იღებს არალეგალურ იმიგრანტებს. ხელისუფალთა გაანგარიშებით, ასეთი თაღლითობის შედეგად სახელმწიფოს ყოველდღიურად ადგება 3 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ზარალი.

„ათასწლეულის ბომბი“

ბრიტანეთის ფირმა „დელფი გრუპმა“ და ამერიკის კომპანია „კომპიუტერ ბორაიზმმა“ გადაწყვიტეს გააერთიანონ ძალისხმევა შესაძლო საკომპიუტერო კრიზისის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც 2000 წლის (1 იანვრიდან მოელიან ეგრეთ წოდებული „ათასწლეულის ბომბი“ მწყობრიდან გამოიყვანს კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც წლის მხოლოდ ორ უკანასკნელ ციფრს ინარჩუნებენ. თუ გამოსავალი ვერ გამოინახა, 2000 წლის 1 იანვრის დადგომისთანავე მთელ მსოფლიოში მწყობრიდან გამოვა უამრავი კომპიუტერული სისტემა. სპეციალისტთა შეფასებით, შესაძლო ზარალის აღმოფხვრის დანახარჯები დაახლოებით ექვსას მილიარდ დოლარს შეადგენს.

თურქეთი განაწყენეს

თურქეთის სამხრეთ კორეის საელჩომ მოიმოქმედა დემარში და საგანგებო განცხადებით რისხვა დაატეხა თავს სამხრეთ კორეის საროსკიპოების მფლობელებს, რომლებიც კონსპირაციის მიზნით თავიანთ დაწესებულებებს „თურქულ აბანოებს“ უწოდებენ.

საელჩომ განაცხადა, რომ თვით თურქეთში საროსკიპოებსა და აბანოებს არავითარი კავშირი არა აქვთ, და სხვებისაგან განსხვავებით თურქი მამაკაცები და ქალები ერთად არ ბანაობენ. ნაწყენმა დიპლომატებმა კატეგორიულად მოითხოვეს სამხრეთკორეელმა ხელისუფლებამ გადაარქვან თურქული სახელი კორეულ საროსკიპოებს.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია

თურქეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრთა პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე პიკანტური სიტუაცია შეიქმნა. წვეულებაზე მისულ სამხედროებს სპირტიანი სასმელების ნაცვლად სუფრაზე ფორთოხლის წვენი დახვდათ.

სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა ადმირალმა გიუვენ ერქაიამ თავისი საყვარელი სასმელი - რახი მოითხოვა, რაზეც მოახსენეს: „სამწუხაროდ, სპირტიანი სასმელები არა გვაქვსო“. „მაშინ მოიტანეთ!“ — ბრძანა ამირბარმა. გენერალური შტაბის უფროსმა ისმაილ ჰაკი ყარადაიმ, თავის მხრივ, ღვინო შეუკვეთა. ასე აგრძნობინეს თურქმა გენერლებმა პროისლამურ პრემიერს ერბაქანს, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

ამასთან დაკავშირებით პროისლამურ კეთილდღეობის პარტიაში, რომელსაც ერბაქანი ხელმძღვანელობს, შეიტანეს შეკითხვა; ხომ არ სცოდავს პრემიერი?

რელიგიის საქმეთა უმაღლესმა საბჭომ ამაზე უპასუხა: „თუ მაჰმადიანს სწამს, რომ ალკოჰოლის ხმარება ცოდვაა და მონაწილეობს წვეულებაში ან თვითონ მართავს დარბაზობას, სადაც სპირტიანი სასმელები საჭიროების გამო შემოაქვთ, იგი ამისათვის პასუხს არ აგებს...“

ირანი ბრალს სდებს ამერიკელებს საჰაერო სივრცის დარღვევაში

ირანის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ქამალ ხარაზიმ გენერალურ მდივანს ბუტროს ღალის გაუგზავნა წერილი, რომელშიც უჩივის ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებს, რომ მათ უკანასკნელ დღეებში სამჯერ დაარღვიეს ირანის საჰაერო სივრცე.

როგორც პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, ხარაზის წერილი გამოხატავს ირანის ხელმძღვანელობის სერიოზულ შეშფოთებას ამერიკის შეერთებული შტატების შესაძლო სამხედრო აქციის გამო.

აიათოლა ალი ხამენეის განცხადება

ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა აიათოლა ალი ხამენეიმ განაცხადა, რომ მის ქვეყანას გადაწყვეტილი აქვს წინ აღუდგეს ახალ ამერიკულ კანონს, რომლის მიზანია იზოლაციაში მოაქციოს ქვეყანა. როგორც ცნობილია, კანონი რომელსაც აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მოაწერა ხელი, ითვალისწინებს სანქციებს იმ უცხოური კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც 40 მილიონ დოლარზე მეტს დააბანდებენ ირანისა და ლიბიის ნავთობისა და გაზის მრეწველობაში. კანონი მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ვაშინგტონი ამ ქვეყნებს ბრალს სდებს საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში.

120 წლისა გარდაიცვალა

მერი ტომპსონი, რომელიც უხუცეს ამერიკელად ითვლებოდა, 120 წლისა გარდაიცვალა გულის შეტევის შედეგად. იმის გამო, რომ ტომპსონის მშობლები მონები იყვნენ, მას არ ჰქონდა დაბადების მოწმობა. ასე რომ მისი გაჩენის ზუსტი თარიღი არ იყო ცნობილი. მაგრამ სოციალური უზრუნველყოფის სფეროს მუშაკებმა შეძლეს გაედევნებინათ თვალი მისი ცხოვრების დასაწყისისათვის 1876 წლის მარტამდე. როგორც მედიკოსებმა თქვეს, ტომპსონი პრაქტიკულად არავითარ წამლებს არ სვამდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უაღრესად კეთილი და სათნო ადამ[illegible]

უვნებელყვეს როსტოველი ქურდების ინტერნაციონალური ჯგუფი

დონის როსტოვის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა დააკავეს ექვსი დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც აქტიურად მოქმედებდა ამ ქალაქში. ყველაზე საშიში დანაშაულებრივი დაჯგუფება დასპეციალებული იყო ბინების ძარცვაზე. მასში შედიოდა ხუთი ლეკი და ერთი სომეხი გოგონა, რომელიც მთავარი მოქმედი პირი იყო. მასპინძლები კარს უღებდნენ ეშხიან ყმაწვილ ქალს, რომელსაც სტუმართმოყვარე ოჯახში თავის აფსონები შეჰყავდა.

ბინების ძარცვის გარდა ამ ჯგუფს დაუმტკიცდა ხუთი ყაჩაღური თავდასხმა ვიეტნამელებზე, კორეელებსა და ჩინელებზე, რომლებიც დონის როსტოვის აღმოსავლეთ ბაზარზე ვაჭრობდნენ. ჩხრეკის დროს მძარცველებს ჩამოერთვათ ავტომატი, ვაზნები და 80 მილიონი მანეთის ნაძარცვი.

გროზნო

ბრძოლებში ავიაციას აღარ იყენებენ

გუშინდლიდან შეწყდა ავიაციის გამოყენება გროზნოს ბრძოლებში. ბოევიკების წინააღმდეგ გამოიყენებენ მხოლოდ სპეცოპერაციების ტაქტიკას — მოიერიშე რაზმებსა და ჯავშანტექნიკას. ეს განაცხადა გუშინ გროზნოს ხანკალის გარეუბანში ფედერალური ჯარების შტაბში მდებარე ფედერალური სარდლობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

* * *

გროზნოში სიტუაცია კარდინალურად არ შეცვლილა. მთელ ღამეს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში გაისმოდა სროლა, ხოლო 12 აგვისტოს, გამთენიისას აქტიურად დაიწყო მუშაობა არტილერიამ. ყველაზე მეტად ხალხს აშინებს უწესრიგო სროლა საცხოვრებელ უბნებში, რომლებშიც ბოევიკები არც ყოფილან და არც არიან. სროლა კი, სამხედროების განცხადებების მიუხედავად, მაინც წარმოებს. ტანკის ჭურვმა, რომელიც კაცმა არ იცის საიდან ისროლეს, წუხელ ღამით დაანგრია მრავალსართულიანი სახლის ნაწილი იტარ-ტასის კორპუნქტიდან 300 მეტრში. დაიღუპა მოზარდი, დაიჭრა რამდენიმე კაცი.

რაც დრო გადის, სულ უფრო უარესდება გროზნოს აღმოსავლეთ გარეუბანში და მის მიმდებარე სოფელ სტარაია სუნჟაში თავმოყრილ ლტოლვილთა მდგომარეობა. ათასობით ადამიანი, მათ შორის, ავადმყოფები და დაჭრილები ელოდებიან, როდის გაიხსნება დერეფანი, რათა გავიდნენ სოფლიდან, რომლის მცხოვრებლებმაც ლტოლვილებს ყველაფერი მისცეს, რაც შეეძლოთ. იგრძნობა სურსათის, მედიკამენტების, სასმელი წყლის ნაკლებობა.

* * *

გენერალი ლებედი ჩავიდა ჩეჩნეთში და სეპარატისტთა ლიდერებს შეხვდა.

მისი განცხადებით, 12 აგვისტოს ნაშუადღევს უნდა დაწყებულიყო დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორება.

პრეზიდენტის თანაშემწის აზრით, ჩეჩნეთის კონფლიქტის მიზეზები მოსკოვში უნდა ვეძებოთ, იგი დარწმუნებულია, რომ ოპოზიცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსირდება.

მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შინაგანი ჯარების ჩეჩნეთში მყოფი ქვედანაყოფები, გადასწვდა ფედერალურ ჯარებს, ხოლო ადგილობრივი ხელმძღვანელობა, კერძოდ, დოკუ ზავგაევი განდიდების მანიით დაავადებულად მონათლა.

ამასთან, მან საჭიროდ არ მიიჩნია ჩეჩნეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღება. მაგრამ საინფორმაციო არხები იუწყებიან, რომ აქ საგანგებო მდგომარეობა უკვე ფაქტობრივად არსებობს.

გენერალ ლებედს იმედი აქვს, რომ პრეზიდენტი დაამტკიცებს მის წინადადებებს ჩეჩნეთში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

იტარ-ტასის და რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის მასალების მიხედვით.

რეგიონი

პარლამენტარები და მეცნიერები იკვლევენ მთიანეთს

საქართველოს პარლამენტის მოქალაქეთა კავშირის ფრაქციამ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში იმოგზაურა. იქ იყვნენ პარლამენტის მოქალაქეთა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყეშელაშვილი და პარლამენტარი, აკადემიკოსი თენგიზ ონიანი. რადგანაც ბატონი თენგიზ ონიანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის თავმჯდომარეც არის, მოხერხდა ექსპედიციაში ამ კომისიის ჩართვაც.

გადაწყდა: ჯერ შეხვედროდნენ ონის, შემდეგ ამბროლაურის, ლენტეხისა და ცაგერის მოსახლეობას. დაიძრა მანქანები, დაიძრა აღდგენილი გზით, ყოფილ სამხრეთ ოსეთზე გავლით, ერწოს უღელტეხილით.

სიმონ კილაძის ფოტო

ვიცოდით, რომ ეს გზა გახსნა და სისტემატურად ამ გზით მგზავრობდა პრეზიდენტის რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში თედო ისაკაძე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვხედავდით თუ რა კეთილგანწყობით გვხვდებოდა აქაური ოსი ეროვნების მოსახლეობა. დახმარებას გვთავაზობდნენ, გვიღიმოდნენ, ხელს გვიქნევდნენ, თაკილობდნენ — რატომ რუსულად მოგვმართავთო. აშკარად ვხედავდით, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა არ დაკარგულა, რომ ის გაუგებრობა, რაც მოხდა, დავიწყებას უნდა მიეცეს. ამის სურვილი იგრძნობოდა ყველა შემხვედრ ოს თუ ქართველ მოსახლეში. მდინარე ფაცას ხეობაში მეწყრისაგან გზა ძლიერ არის დაზიანებული, მაგრამ მგზავრობა შეიძლება. ალბათ, ამასაც მოევლება და კვლავ ვიქნებით ერთად, ვიმგზავრებთ ამ გზით ყოველგვარი მაშველი თუ გამშვები ძალების გარეშე. ონში ბატონი თედო ისაკაძე და ონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ბიჭაშვილი დაგვხვდნენ. რეგიონის ხელმძღვანელი არ მოგვცილებია: ესწრებოდა შეხვედრებს სოფლებში, ისმენდა მოსახლეობის ჩივილს და მათთან ერთად მსჯელობდა მტკივნეულ პრობლემებზე. ამბროლაურის რაიონში შემოგვიერთდა მაჟორიტარი დეპუტატი იური ჩიხრაძეც.

შეხვედრებში გამოიკვეთა სამი ძირითადი პრობლემა, რომლებიც ერთნაირად მტკივნეულია როგორც რაჭის, ისე ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობისათვის. ეს არის მიწის, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების პრობლემები. გაირკვა, რომ ყველგან მოხდა მიწის მიტაცება. ზოგჯერ ნაქონობის პრინციპით („ჩემი მამა-პაპისეულიაო") ზოგჯერ ძალით, ზოგჯერ კი თანამდებობის გამოყენებით. საჭიროა ამ საკითხის მოგვარება თვით სოფლის მოსახლეობის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით. ჯერ კი საჭირო იქნება ზუსტად აიზომოს ის სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვრები თუ ტყის ზოლი, რომელსაც ესა თუ ის სოფელი ფლობს. დღეს უკვე არსებობს სოფლებში მოსახლეობაზე მიწის მიმაგრების აქტები. ვისაც ეს აქტი არა აქვს, ის მიწის მფლობელად არ ჩაითვლება. მტკივნეული და სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემაა ბარად ჩამოსახლებული ოჯახების მდგომარეობაც, რომლებიც მიწებს მთაშიც დაპატრონებიან, მაშინ, როდესაც ამ საერთო უკანონო დატაცების გამო ბევრი უმიწოდ არის დარჩენილი. ჩამოსახლებულებშიც უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა მას ბარში ცხოვრების პირობები. თუ არა აქვს, მაშინ მთაში უნდა დასახლდეს, გაუქმდეს მისი ბარში ჩაწერა და მიიღოს კანონით კუთვნილი მიწა. თუკი ის ბარში ნორმალურ პირობებშია, ჩამოერთვას მთაში მიტაცებული მიწის ნაკვეთი და მიეცეს ის უმიწოდ დარჩენილთ. უჭირს მთის მოსახლეობას. ალბათ, საჭიროა დაუწესდეთ შეღავათები სხვადასხვა საგადასახადო სისტემაში, ყოველივე ეს კი უნდა მოხდეს ისე, რომ არ შემცირდეს რაიონის ბიუჯეტი, რადგან ამ ბიუჯეტზეა დამოკიდებული მოსახლეობისა და, საერთოდ, რაიონის კეთილდღეობა.

კანონი სამედიცინო მომსახურებისა და განათლების შესახებ ჯერ პარლამენტს არ მიუღია, მაგრამ მოქმედება დაიწყო იმ ბრძანებულებებმა, რომლებიც ამ სისტემის რეფორმებს შეეხება. მთის მოსახლეობა ამ ბრძანებულებებს მეტად მტკივნეულად აღიქვამს. საჭირო იქნება მეტი დაფიქრება, სანამ მათ ცხოვრებაში გავატარებთ.

მთის სოფლებში ბავშვთა კონტინგენტი მცირეა. მიუხედავად ამისა, აქ სკოლები აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს, რადგან თუ სკოლა დაიხურა, სოფელიც აიყრება. მასწავლებელთა განაკვეთი (საათების რაოდენობა) ბართან შედარებით უფრო მცირე უნდა იყოს, არსებული პედაგოგიური კოლექტივი რომ შევინარჩუნოთ. მთის პირობებისთვის მიუღებელია დადგენილების ის პუნქტიც, რომელიც კრძალავს ასეთი სკოლების არსებობას, სადაც 10 მოსწავლეზე ნაკლებია (იგულისხმება მეათე კლასი). რადგან მთის სოფლებში ხშირია მეათე კლასის მოსწავლეთა უფრო მცირე რაოდენობა. ძნელია აქაური მოსახლეობისათვის დადგენილი 10 ლარის გადახდაც. გაუგებარია აგრეთვე, როცა სამი ერთნაირი უფულო, მაგრამ ნიჭიერი ბავშვი აღმოჩნდება მეათე კლასში, რომელთაგან მხოლოდ ერთს ეკუთვნის უფასო სწავლება, რა პრინციპით უნდა აირჩეს ის ერთი, ხოლო ორი ნიჭიერი უფულობის გამო დარჩეს უსწავლელი? მოსახლეობას ეშინია, რომ სწავლას გააგრძელებს უნიჭო ფულიანი, ხოლო ნიჭიერი უფულო უსწავლელი დარჩება.

სამედიცინო მომსახურეობის რეფორმა დასახვეწია. რადგან მასში არ არის გათვალისწინებული მთის რეგიონების ბარისაგან განსხვავებული პირობები. საავადმყოფოებში შტატების შემცირების შემდეგ მცირე სამედიცინო პერსონალი დარჩა და მათი შენარჩუნებაც ჭირს, რადგან ჯამაგირი 3-4 ლარია. სოფლებში მთლიანად გაუქმდა საბებიო და სამედიცინო პუნქტები. აქ მომსახურე პერსონალი უმეტესწილად დარჩა. უფულობის გამო ავადმყოფები სამკურნალოდ ვერ მიდიან. ისინიც კი, რომელთაც 50 პროცენტი შეღავათი აქვთ, არა მარტო მკურნალობის, არამედ წამლების ყიდვის საშუალებაც არა აქვთ. ყველა თანახმაა დაწესდეს დაზღვევის სისტემა, რომ შემდგომ მომენტალური კი არ იყოს სამკურნალო გადასახადი, არამედ დროთა განმავლობაში გროვდებოდეს. მოსახლეობას ვერ გაუგია რისთვის ექვითებათ ჯამაგირებიდან საშემოსავლო, ან რად იხდიან პროფკავშირების გადასახადს. წინათ ხომ ისინი ჩვენს ჯანმრთელობას და დასვენებას ხმარდებოდა. ალბათ, საჭირო იქნება უფასოდ მკურნალობა დაუწესდეს 7 წლამდე ასაკის ბავშვებს და მთაში გავრცელებულ ისეთ სპეციფიკურ დაავადებას, როგორიც ჩიყვია...

პრეზიდენტის რწმუნებული თედო ისაკაძე საქვეყნოდ აცხადებს: „მე მირჩევნია ვიპოვო შემოსავლის წყარო, ვიდრე ვირბინო მთავრობაში და ვითხოვო შეღავათები". მან [illegible] რომელიც 10-12 მილიონ ლარს შეადგენს, 50 პროცენტი მხარეს დარჩება. თანხა კი ადგილობრივი გზების შეკეთებასა და გაუმჯობესებას, კავშირგაბმულობას, საავადმყოფოების რემონტსა და აღდგენას, ცხენისწყალსა და რიონზე საშიშ ადგილებში ჯებირების აშენებას მოხმარდება. ასეთი ჯებირი სოფელ ლასურიაში (ცაგერის რაიონი) უკვე აშენდა, რითაც გადარჩა ადგილობრივი სკოლა.

დღეს რწმუნებულმა მხარეში დაარსა სტიქიური უბედურების ლიკვიდაციის ფონდი. უმტკივნეულოდ ჩაიარა პურის ლიბერალიზაციამ (ონში 18, ხოლო ამბროლაურში 24 პურის საცხობია, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან პურის ხარისხსა და ფასების დაკლებაში). გადასახადების ამოღებაში რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარემ მეორე ადგილი დაიკავა საქართველოში. ბიუჯეტის შემდგომი ზრდით საშუალება გაჩნდება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა. ამუშავდა კურორტი ლაშიჭალა და ტურბაზა — შოვი. საქართველოს ამ მთიან მხარეს დაეტყო მზრუნველი ხელი.

...დამთავრდა ექსპედიცია. დამთავრდა იმ იმედით, რომ შემუშავდება კანონი მთის რეგიონების განვითარებისა. კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიერ დაყენებულ ყველა პრობლემის დაძლევას, კანონი, რომელიც არა მარტო განასხვავებს მთის რეგიონებს ბარისაგან, გაითვალისწინებს მის თავისებურებას, არამედ მხედველობაში მიიღებს მთის თითოეული სოფლის თავისებურებასა და ინტერესებს.

ბერდო გოიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმთან
არსებული მთიანეთის კომპლექსური შესწავლის
კომისიის სწავლული მდივანი.

გილოცავთ!

ღრმად პატივცემულო, ბატონო ნოდარ!

გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს—დაბადებიდან 70 წლისთავს. გისურვებთ წარმატებებს სამეცნიერო სარბიელზე და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქართული ისტორიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, რომლის კვლევითი ინტერესები მრავლისმომცველია და სითამამით გამორჩეული; დიდი ღვაწლი მიგიძღვით ქართული მეცნიერებისა და ახალი თაობების აღზრდის საქმეში; ხოლო თქვენი შრომები, მონოგრაფიები საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის უძველეს პერიოდზე (ანტიკური ხანა) შუა საუკუნეების ისტორიაზე, გამოირჩევა კვლევის სიღრმით, ერუდიციითა და შემეცნებითი მნიშვნელობით.

ამჟამად, თქვენ ხელმძღვანელობთ ქართული კულტურის ერთ-ერთ გამორჩეულ კერას—ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, თქვენთვის დამახასიათებელი პრინციპულობით, თანმიმდევრობით და ეროვნული საუნჯის მიმართ განუსაზღვრელი სიყვარულით.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პატივისცემით, კულტურის მინისტრი
ვალერი ასათიანი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია უერთდება კულტურის სამინისტროს მილოცვას და ყველა სიკეთეს უსურვებს ბატონ ნოდარ ლომოურს!

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ქალაქის სატელეფონო ქსელი აცხადებს, რომ ქალაქის სხვადასხვა ატს-ების მოქმედების ზონაში სატრანზიტო ხაზების გამოყენებით დადგმული ელექტრონული ატს-ების ნომრების უკეთ მომსახურეობის მიზნით სატელეფონო ქსელში შექმნილია ცენტრალური დაზიანების ბიურო.

აღნიშნული ტელეფონებისა და სხვა სატრანზიტო კავშირების დაზიანების შემთხვევაში, გთხოვთ დარეკოთ ტელეფონზე 9-09. სამუშაო დღეებში 9-დან 20-საათამდე, შაბათს 9-დან 17 საათამდე. კვირას და სხვა სადღესასწაულო დღეებში განაცხადები არ მიიღება. კოორდინატული სისტემის ატს-ებიდან: 30, 34, 35, 37/38, 39, 40/41, 60/61, 63/64, 68,78 დარეკვის დროს საჭიროა აიკრიფოს 9-09-111.

დაზიანების გაჭიანურების შემთხვევაში დარეკეთ ნომრებზე
94-11-10; 93-27-40.

განაცხადები ქალაქში არსებული სხვა ტელეფონების ნომრების გაუმართავ მუშაობაზე აღნიშნულ ნომრებზე არ მიიღება.

ამ შემთხვევაში საჭიროა მიმართოთ შესაბამის დაზიანების ბიუროებს:

შემდეგ ნომრებზე ეატს 22, 23, 29-ის აბონენტებმა	9-02
ეატს 94, 95, 96-ის	9-05
ეატს 93, 98, 99-ის	9-03

ატს 30, 31, 36, 37, 38, 39-ის აბონენტებმა 38-18-08.

დანარჩენ ინდექსებზე მომუშავე აბონენტებმა ატს-ის შესაბამის ინდექსზე აკრიფონ 21-11 ან 31-11 (მაგ. 34-21-11; 34-31-11) და ა.შ.

☎ **ადმინისტრაცია**

სააქციო საზოგადოება „ქალაქმშენი"

აცხადებს აღნიშნული საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ ამა წლის 27 აგვისტოს 12 საათზე განმეორებით მოწვეულია საზოგადოების საერთო კრება მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, IX სართული, სააქციო საზოგადოების საერთო კრებაზე მოსმენილი იქნება შემდეგი საკითხები:

1. საერთო კრების მომზადებისათვის არჩეულია საორგანიზაციო კომისიის ინფორმაცია;
2. გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანგარიში 1995 წლის შედეგების შესახებ;
3. სააქციო საზოგადოება „ქალაქმშენი"-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
4. სააქციო საზოგადოება „ქალაქმშენის" მუშა-მოსამსახურეთაგან სამეთვალყურეო საბჭოში წევრების არჩევის სპეციალური საარჩევნო დებულების დამტკიცება (მიღება);
5. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

სააქციო საზოგადოება „ქალაქმშენი" სთხოვს საზოგადოების წევრებს დაესწრონ აღნიშნულ კრებას.

ბინები, აგარაკები

მსურს ვიქირავო ოროთახიანი ან სამოთახიანი ბინა ვაკეში ან ვერაზე. ტელ: 93-34-04 დღისით;
23-28-00 საღამოს.

იყიდება ოთხოთახიანი და ერთოთახიანი ბინა 16-სართულიანი სახლის მე-16, მე-17 სართულზე. ოთხი ოთახის ფართია 110 კვ.მ. ყველა ოთახი იზოლირებულია. აქვს ორი სველი წერტილი, აბაზანა, ტუალეტი და სამზარეულო კაფელშია. სამზარეულო 12 კვ.მ. საშრობი 6 კვ.მ. ჩაყენებული კარადებით. ორი აივნით, რკინის კარებით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. ერთი ოთახი ბინის თავზეა. ფართი 40 კვ.მ. ჭერის სიმაღლე 5 მეტრი. 4 გამართული ლიფტით. ბინა გადაჰყურებს ბავშვთა ქალაქს „მზიურს". ფასი 35 000 დოლარი, შესაბამისი კურსი ლარებში. ტელ: 36-11-66 საღამოს. 93-89-53 დღისით.

იყიდება სამოთახიანი არასტანდარტული ბინა ორმხრივი ლოჯიით, ურემონტო, მაგრამ კედლები გაჯით გალესილია, კარფანჯრები გამოცვლილია. (ყაველაშვილის პროექტი, 16 სართულიანი სახლი). ფასი — 15 000 დოლარი. ნუცუბიძის პლატო, მე-3 მიკრორაიონი, მე-2 კვარტალი, მე-5 კორპუსი, მე-8 სართული.
ტელეფონი: 98-55-80

იყიდება ერთოთახიანი, გარემონტებული ბინა II სართულზე. დიღმის მასივის მე-6 კვ. მე-2 კორპ. ფასი 5 000 დოლარი. ტელ: 51-08-97 სუსანა.

ვყიდი ერთოთახიან, გარემონტებულ ბინას ნაძალადევის რ-ში, ცოტნე დადიანის № 34-ში, მე-9 კორპუსის II სართულზე. აქვს ტელეფონი.
დამიკავშირდით 66-35-51 საღამოს, 93-66-08 დღისით.

ვყიდი ან ვაქირავებ საკუთარ სამსართულიან სახლს. აქვს სარდაფი, მიწის ნაკვეთი, მსხმოიარე ხეხილით და ბოსტნით. IV, სართული, მანსარდი, გაუმართავია. სახლი მდებარეობს საბურთალოს რაიონის ცენტრში, საბურთალოს ბაზართან, საერთო ფართი 240 კვ.მ. აქვს ორი აბაზანა, ტუალეტი, სახლი გამოდგება როგორც სასტუმროსათვის ასევე საზღვარგარეთელი თანამშრომლებისათვის. აქვს ტელეფონი. ეზო დაცულია მაღალი ბეტონის ღობით და რკინის კარებით, ეზოში თავსდება 4 მსუბუქი ავტომანქანა.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-34-47

იყიდება აგარაკი სოფელ ძეგვში, ტყის პირას, 600 მ. მსხმოიარე ხეხილის ბაღით. სახლი ორსართულიანია, ზემოთ სამი ოთახი, ქვემოთ ერთი ოთახი დამხმარე სათავსოებით. მუდმივად არის წყალი, წინ იშლება შესანიშნავი ხედი მტკვრის ხეობასა და შიო მღვიმის მონასტერზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-28-00. თამილა.

ვყიდი ერთოთახიან იზოლირებულ ბინას ხუთსართულიანი სახლის მე-4 სართულზე, აივნით, ტელეფონით, ბინა მდებარეობს დიღმის მასივში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 51-09-50.

იყიდება ორსართულიანი საკუთარი სახლი საერთო ფართი 320 კვ.მ. ეზო 300 კვ.მ. კაპიტალური ავტოფარეხით, ტელეფონით, ეზოში არის მსხმოიარე ვაზი, მარანი.ლოტკინის დასახლება (მუსიკალურ სკოლასთან). ტელ: 34-43-83

ვყიდი ერთოთახიან ბინას, ხუთ სართულიან სახლში V სართულზე. მომატებული ფართით გამოდის სამოთახიანი. მომატებული ფართის სამუშაო დამთავრებულია 80 პროცენტით. მისამართი: ნუცუბიძის 74 (31 ატეესის გვერდით).ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-14-17 ზალიკო

იყიდება სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩაზე სამსართულიანი კაპიტალური სახლი, მე-2 სართულზე, ოროთახიანი 34 კვ.მ. ბინა. 6 კვ.მ. ჰოლით. ქუჩაში გამავალი ფანჯრებით, პარკეტით. ტელეფონით. ჭერის სიმაღლე 4 მეტრ ნახევარია, ცალკე აქვს სამზარეულო 10 კვ.მ. აბაზანა-ტუალეტი. ოთახების ქვეშ პირველ სართულზე აქვს 24 კვ.მ. სარდაფი. რკინის კარებით გამავალი ქუჩაში, რომელიც გამოიყენება მაღაზიისათვის, ბარისა და ოფისისათვის. ფასი 25 000 დოლარი. ტელ: 98-95-02 იკითხეთ ლია.

იყიდება ორსართულიანი, ოთხოთახიანი, 120 კვ. მ. საერთო ფართის ბინა, აქვს ეზო (100 კვ. მ.) ტელეფონი, გათბობის სისტემა, წყალი ორივე სართულზე, სხვა აუცილებელი მოწყობილობა. ბინა მდებარეობს მეტრო „ვაგზლის მოედანთან", ცოტნე დადიანის ქუჩის (ყოფ. ოქტომბრის) მხარეს. ფასი 35 000 დოლარი. ტელეფონი 96-79-11.

ვაქირავებ ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას დიღმის მასივში, მეტროსთან ახლოს. გამოდგება ოფისისათვისაც. ფასი თვეში 60 დოლარი. მისამართი: დიღმის მასივი, I კვ. VII კორპ. II სად. ბ. 16. ტელ. 51-25-01.

იყიდება ოროთახიანი ბინა კოსტავას ქუჩის №75-ში, მეხუთე სართულის მე-2 სადარბაზოში. ბინა მაღალჭერიანია და აქვს 24 კვ. მ. ლოჯია. ფასი 27 ათასი დოლარი. ტელეფონი 37-55-14

იყიდება პრივატიზებული, ერთოთახიანი ბინა ანჩისხატის უბანში. ცნობისთვის დარეკეთ 98-50-44. იკითხეთ მიმოზა.

იყიდება ერთოთახიანი ბინა გადაკეთებული ერთნახევარ ოთახად. ბინა მე-5 სართულზეა. მისამართი დიღმის მასივი, პირველი კვარტალი, მე-3 ა კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა 38. აქვს ტელეფონი, რკინის კარები, მოპირკეთებულია კაფელით. დარეკეთ 51-72-23. იკითხეთ მარო, დათო.

იყიდება ოროთახიანი ბინა ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე, ვაკეში, ფალიაშვილის ქ. №64-ში. ოთახები არის 20X20, აქვს 18 კვ. მ. ლოჯია. დარეკეთ 22-11-96, იკითხეთ შურიკო.

იყიდება სოფელ გლდანში ორსართულიანი, თეთრი აგურით აშენებული ბინა, რომელიც 170 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით არის. აქვს 900 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, ხეხილით და ხეივნით, გარაჟით. ეზოში აქვს ქათმების მინი ფერმა 2000 ქათმისათვის. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 72-41-18 ან 51-29-30. იკითხეთ მერაბი საღამოს საათებში.

იყიდება მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან ოროთახიანი, სარემონტო, სუფთა ბინა. მისამართი ტაშკენტის ქუჩა, მე-4 სართული. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 37-30-92. იკითხეთ ციალა.

ვყიდი 3 ოთახიან იზოლირებულ ბინას დაშენების პერსპექტივით, მესამე სართულზე, თოიძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ტელ. 94-23-43.

იყიდება თუხარელის პროექტის ოთხოთახიანი ბინა ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონის ბოლოში, მე-10 სართული. ბინას აქვს სარდაფი და მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი 17 ათასი დოლარი. ტელეფონი 30-12-34 ან 31-23-23.

იყიდება სახლი ეზოთი მარტვილის ცენტრში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-47-96.

იყიდება ერთოთახიანი ბინა თემქის დასახლება მე-11 მიკრორაიონი, მე-2 კვარტალი, მე-40 კორპუსი, მე-4 სართული, ბინა 11. ფასი 4 500 დოლარი. ტელ: 22-50-84 მაყვალა.

ვყიდი სამოთახიან, მიშენებულ 140 კვ.მ. ფართის სუფთა ბინას ვაჟა-ფშაველას პროსპექტის დასაწყისში, ოთხ სართულიანი სახლის მე-3 სართულზე, მაღალი ჭერით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-29-27 იკითხეთ ალექსანდრე საღამოს 20 საათის შემდეგ.

ვყიდი ოროთახიან ბინას დავით აღმაშენებლის №71-ში, საკუთარი ტუალეტითა და აბაზანით, მე-2 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 67-07-12 ან 67-87-34.

იყიდება 300 კვ.მ. მშენებარე სახლი ტიციან ტაბიძის ქუჩაზე. ტელ:22-32-31.

ქალაქ გორის ცენტრში ვყიდი ცალკე მდგომ სამოთახიან სახლს სარდაფით, პატარა ეზოთი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 99-61-16 ან 37-04-74.

ვაქირავებ სამოთახიან ბინას საბავშვო ბაღისათვის ან ოფისისათვის. მისამართი ფალიაშვილის ქ.80. შესასვლელი ეზოდან. ტელეფონი: 22-32-08.

ვყიდი ორსართულიან საავარკო სახლს 2000 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთით, გაშენებულია სხვადასხვა ჯიშის ხეხილი, გაყვანილია წყალი, სინათლე. ტელ: 95-92-57 დილის საათებში, 39-45-54 საღამოს.

ვყიდი ერთოთახიან ლოჯიან ბინას მეტრო დელისთან. ბინა ბელეტაჟზეა, არასტანდარტული და მაღალჭერიანია, ოთახები კი იზოლირებულია. აქვს ბუნებრივი ცხელი წყალი, ტელეფონი. სარდაფი. ბინას აქვს მიშენების და დაშენების პერსპექტივა. ფასი 23 ათასი დოლარია. ტელ: 39-48-14 ან 96-74-75.

ვყიდი აგარაკს კასპის რაიონის სოფელ თელათგორის ფერდობზე. სახლი ორსართულიანია, აქვს მანსარდი, ნაკვეთი 600 კვ. მეტრია. ეზოში დგას დამატებითი შენობა-ნაგებობა. ბინა გარემონტებულია, შიგნით მოპირკეთებულია კაფელით, აქვს ბუხარი, კანალიზაცია, ეზოში ვენახის ხეივანია. ფასი 4 ათასი დოლარი. 22-22-85.

ვყიდი ერთოთახიან, არაიზოლირებულ ბინას წინამძღვრიშვილის ქ.№1, მესამე სართულზე უტელეფონოდ, 26 კვ.მ. ფასი 3600 დოლარი. დარეკეთ:95-09-86.

იყიდება ოროთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა საბურთალოს ქუჩაზე.16 სართულიანი სახლის მეთერთმეტე სართულზე, ორი შემინული აივნით, ტელეფონით. ფასი 22000 დოლარი, დარეკეთ:38-91-46.

ვიქირავებ ან შევიძენ სამრეცხაოს მოსაწყობად ნახევრადსარდაფის არაუმეტეს 50 კვ.მ. ფართს. გასათვალისწინებელია ავტომანქანის გაჩერების შესაძლებლობაც. მოგვმართეთ დღის საათებში 10-და 17 საათამდე.
ტელ: 93-48-27 ნინო, 93-30-54 ლია. საღამოს საათებში-19-22 საათამდე-78-09-66.

ვაქირავებ სარდაფს ფურნით. მისამართი: დავით აღმაშენებლის ქ. №107. 95-93-47. იკითხეთ ომარ ხარაძე.

ავტომანქანები



ვყიდი ამწესა და თვითმცლელ სატვირთო ავტომანქანას, ორივე სამუშაო მდგომარეობაშია. ფასი — შეთანხმებით. ტელ: 61-35-45

იყიდება ექსპლუატაციაში მყოფი ტექნიკურად გამართული, გაზ-51 მარკის სატვირთო ავტომანქანა. გთხოვთ დარეკოთ ტელ. 22-46-20. 17.00 — 22. 00-მდე.

ვყიდი ავტომანქანა „ვაზ-06", 011 ძრავით, გამოშვებულია 1986 წელს. გავლილი აქვს 75.000 კმ. თეთრი ფერის, კარგად შენახული. ფასი 3.500 ლარი. დარეკეთ 99-03-73. 9.00-დან 18.00-მდე

.ვყიდი ავტომანქანას „БМВ — 518". გამოშვებულია 1979 წელს, შესაკეთებელია ძრავა. ფასი 1000 დოლარი. ტელ: 62-77-32 ხვიჩა.

იყიდება ავტომანქანა „მერსედეს-200", დიზელი, 1976 წლის გამოშვება, ფასი — 800 ლარი. ტელეფონი 22-16-31.

.იყიდება 1980 წელს გამოშვებული ავტომანქანა გაზ- 24 „ვოლგა" ძალიან კარგ მდგომარეობაში. მანქანას გავლილი აქვს 47 000 კმ. აქვს სრულიად ახალი დიზელის გერმანული ექსპერიმენტალური ძრავი, წვავს 6 ლიტრა დიზელის საწვავს 100 კმ-ზე. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ:
78-32-00.

იყიდება მსუბუქი ავტომანქანა „ზიმი" ასაწყობ მდგომარეობაში თავისი ყველა ნაწილით. ფასი 700 დოლარი. ტელ: 34-43-83.

იყიდება ჟიგულის მარკის მანქანა 1991 წელს გამოშვებული. გავლილი აქვს 14 ათასი კილომეტრი, ჩალის ფერია. საწყისი ფასი 4600 დოლარი. ტელ: 34-36-29 ნოდარი იკითხეთ დღისით, საღამოს კი 78-58-89 გურამი.

იყიდება სასწრაფოდ ბენზინმზიდი „ზილ-130", სრული ტევადობა 6200 ლიტრი. გამართული მანქანაა. საწყისი ფასი 2700 დოლარი. დარეკეთ 34-36-29 ნოდარი ან გურამი.

იყიდება სამგზავრო ავტომანქანა „ერაზი" 17 ადგილიანი, გამოშვებულია 1991 წელს. საწყისი ფასია 1400 დოლარი. ტელ: 34-36-29 ნოდარი ან გურამი.

სხვადასხვა

იყიდება 500 კგ. თეთრი პრიალა ქაღალდი, რომელიც გამოდგება: ბროშურების თავფურცლად, ეტიკეტებად, კონვერტებად, ნამცხვრისათვის პარკებად.ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-47-96.

ვიყიდი რუსეთის გამოშვების მოტო-ბლოკს. დარეკეთ ტელეფონზე 37-65-02 ან 51-54-37.

იყიდება ოთახის ხის კარები. ზომები 90X215 4 ცალი, ორფრთიანი 138X215 2 ცალი.ტელ: 34-40-37.

იყიდება როკოკოს სტილის ანტიკვარული სასტუმრო ფასი 5 ათასი დოლარი. იყიდება აგრეთვე როკოკოს სტილის კედელზე ჩამოსაკიდი ოვალური ფორმის ანტიკვარული სარკე ფასი. 400 დოლარი, გერმანული კარადა „გორკა", ფასი 800 დოლარი. ტელ: 22-31-30.

იყიდება ანტიკვარული, კარგად შენახული სასადილო „ჩეპენდეილი", გორკა, სერვანტი, მაგიდა, ექვსი სკამი. საწყისი ფასი 12 ათასი დოლარი. შეიძლება გაიყიდოს ნაწილ-ნაწილ. ტელ: 95-43-94, საღამოს 6 საათის შემდეგ.

იყიდება სამშენებლო არმატურა, პერიოდული პროფილის № 18. ერთი ტონა 350 ლარი. ტელ: 98-56-10 11 დან 16 საათამდე; 23-38-34 20 საათის შემდეგ.

ვყიდი შვიდწვერიან ალუმინის შიშველ მავთულს, ერთი წვერი 10 კვადრატია, სულ არის 1500 გრძივი მეტრი. ფასი შეთახმებით. ტელ: 61-50-73 ან 61-64-43. დემური ან შალვა.

იყიდება: მომინანქრებული ფურცელოვანი ფოლადი, 0,6 მილიმეტრი სისქის ზომით 1X2, 125 ცალი. ფასი 1.250 ლარი. შეღებვას არ საჭიროებს;

. იყიდება წიგნების კარადა — სერვანდი, ფასი 300 ლარი, „სეკრეტერი" — დასახური საწერი მაგიდა თაროებით — 300 ლარი, წიფელის „დსპ"-საგან დამზადებული მასიური კამოდი ზომებით 2X1, ფასი 250 ლარი, საკერავი მანქანა „ზინგერი" — 150 ლარი, ანტიკვარული თუჯის ორიანი ჟურნალების მაგიდა — 159 ლარი. დაგვიკავშირდით 36-10-52 ან 98-39-46.

ვისაც სურს საბუთების ბუღალტრული დამუშავება, ბალანსის გაკეთება, დარეკეთ 98-50-44. მიმოზა.

ვყიდი ფრანგულ მამაკაცის ყავისფერ „დუბლიონკას" 52-54 ზომა და 1994 წელს გამოშვებულ ავტომობილ „ზაპოროჟეცს". ფასი შეთანხმებით. ტელ. 94-23-43.

იყიდება უალკოჰოლო გაზიანი წყლების ჩამოსასხმელი საამქრო, მუშა მდგომარეობაში ყველანაირი საჭირო ინვენტარით. იყიდება აგრეთვე მცირე ზომის პურის საცხობი. ორივე ფასი ერთად 10000 ლარი. დარეკეთ: 34-35-96 დილის საათებში.

იყიდება უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული 300 ლიტრი ტევადობის კასრები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სითხისათვის. საწყისი ფასი ცალის 120 ლარი. დარეკეთ 18 საათის შემდეგ 34-84-83.

იყიდება აკუსტიკური ინსტრუმენტებისათვის პრეზოელექტრულ გარდამქმნელი გამაძლიერებელში ჩასართავად; ახალი ფოტოაპარატი „ზენიტი-11" და სანთებლიანი ფოტოაპარატი „ელიკონი" აგრეთვე შვიდჯერადი დურბინდი, ტელ: 37-13-06, 74-54-21. იკითხეთ დათო.

ვყიდი კოკა-კოლას მაგიდებს სკამებით და ქოლგით. ფასი 165 ლარი. ტელ: 95-92-57-დღისით, 39-45-59-საღამოს.

ვყიდი სხვადასხვა მარკის საკერავ მანქანებს. ცნობისათვის დარეკეთ 37-13-62.

ვიწვევთ მოქალაქეებს სწრაფი კითხვის სამთვიან კურსებზე, კვირაში ორი მეცადინეობით. ეს მათთვის, ვისაც საქმე აქვს ინფორაციის დიდ რაოდენობასთან. მეცადინეობა მოეწყობა მეტრო დელისთან. ტელ: 31-32-75 ან 99-85-09.

ვყიდი სარეცხ მარქანას „ოკა 7". ფასი შეთანხმებით. დაგვირეკეთ 98-29-11. იკითხეთ ეკა.

ვყიდი ახალ „პეტროფის" სისტემის პიანინოს 1000 დოლარად. ტელ: 38-15-02.

ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაქირავების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა დაგვირეკეთ:
ტელ: 99-73-24.

ანატოლი სობჩაკი

თბილისის ჭამტეხილი, ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა

თავი 4

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი

> – ეს ამბოხებაა? – იკითხა ლუი XVI-მ, როდესაც პარიზის აჯანყებისა და ბასტილიის აღების ამბავი შეიტყო.
> – არა, სირ, ეს ამბოხება არ გახლავთ, ეს რევოლუციაა, – უპასუხა ჰერცოგმა დე ლიანკურმა.
> ა. მანფრედი.

მოქმედების ადგილი: თბილისი, მთავრობის სახლი, რუსთაველისპირა მოედანი.

მთავრობის სახლი — ეს არის დიდი, „სტალინური" არქიტექტურის სვეტებიანი შენობა, რომლის ფასადში განიერ კიბეს ავყავართ. იგი ბექობზე დგას და წამომართულა საქართველოს დედაქალაქის დედაქუჩის — შოთა რუსთაველის პროსპექტზე. აქ იყო განლაგებული მთავრობა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, მერე კი — საქართველოს პირველი პრეზიდენტის აპარატი.

სწორედ აქ, ათწლეულების მანძილზე წყდებოდა, როგორ ეცხოვრა, ესუნთქა და ემუშავა ქართველ ხალხს, ხოლო კომუნისტური რეჟიმის მსხვრევის პერიოდში სწორედ ეს შენობა და მისი წინამდებარე მოედანი აღმოჩნდნენ პოლიტიკური ვნებების, ამბიციებისა და შეტაკებების გადაკვეთის ადგილზე.

მთავრობის სახლის წინ რუსთაველის პროსპექტი ოდნავ განიერდება. ძნელიც კია, მას მოედანი უწოდო, მაგრამ აქ არის ტრანსპორტის მოძრაობისაგან თავისუფალი სივრცე.

ამ ქუჩისპირა მოედანზე ხალხი შეყრილა, ძირითადად ახალგაზრდები. მეგაფონებით გამომსვლელნი ერთმანეთს ცვლიან. მთავრობის სახლის განიერი კიბის საფეხურებს შეფენია მოშიმშილე სტუდენტთა დიდი ჯგუფი. სახელდახელო ტრიბუნაზე არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერები დგანან. და ასეა ყოველ ცისმარე დღეს. დღისით თუ ღამით. მიტინგი უკვე მეექვსე დღეა, არ ცხრება. მხოლოდ გამთენიისას იშლება ხალხი და კიბის საფეხურებზე რჩებიან მოშიმშილენი და მათი თანამდგომნი (და დამცველნი) ასე, ორასამდე კაცი.

მაინც, ვინ არიან ორატორები?

მთავრობის სახლიდან და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობიდან დანახული.*

ყველაზე ხშირად მიკროფონი წერეთელს უკავია ხელში.

ირაკლი სიდამონის ძე წერეთელი დაიბადა 1961 წელს, თბილისის მკვიდრი, უპარტიოა, უცოლშვილო, აქვს არასრული უმაღლესი განათლება (ისტორიკოსი), დროებით უმუშევარია, არის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე. ორგზის ნასამართლევია: 1981 წელს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 228 ნაწ. 2-ით (ბოროტი ხულიგნობა) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით (შემდეგ შეეცვალა 5 წლის პირობაზე); 1983 წელს საქართველოს სსრ სსკ მუხ. 206-ით (საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების სახელგამტეხი აშკარა მონაჩმახის გავრცელება) — თავისუფლების აღკვეთა 4 წლით. (1987 წლის მარტში შეიწყალეს.)

მოწოდებით ოპოზიციონერი, იგი ოპოზიციის ლიდერად დარჩა მას შემდეგაც, რაც კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის თანამოსაგრე ზ.გამსახურდია 1990 წელს საქართველოს პირველ პრეზიდენტად აირჩიეს.აი, რას წერდა ირაკლი წერეთელზე უშკომის ანონიმური აგენტი მთავრობის სახლის წინ 5 აპრილს მიმდინარე მოვლენების ამსახველ მოხსენებაში:

„წერეთელი 5 აპრილს 30-ჯერ გამოვიდა. თავის გამოსვლებში აყენებს საკითხს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტის ცნობისა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ.

მიმართავს მიტინგის მონაწილეებს, რომ საჭიროა გაგრძელდეს ხელმოწერების შეგროვება პეტიციაზე, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანას ეგზავნება. ეროვნულ მოძრაობას უნდა შეუერთდეს ყოველი პატრიოტი. 14 აპრილისათვის დაგეგმილია გრანდიოზული მანიფესტაცია.

კითხულობს იმ პეტიციის საბოლოო ვარიანტს, რომელიც ბუშს უნდა გაუგზავნონ აგრესიისა და მისი აღკვეთის ფაქტის აღიარების შესახებ. მოითხოვს, ინგლისურ ენაზე დაიწეროს ლოზუნგები „მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას", „შეწყდეს კომუნისტური აგრესია".

ბავშვები არ უნდა დაიმშენ. გაფიცვას მოუწოდებს მუშებს, გლეხებს, სტუდენტებს, მაგრამ არა — ბავშვებს.

ლაპარაკობს, რომ მათი პარტია აცხადებს შიმშილობას 14 აპრილამდე და აყენებს საკითხს, შეწყდეს კომუნისტური აგრესია. აცხადებს, რომ უნდა ებრძოლონ არა იმდენად აფსუა (აფხაზ) სეპარატისტებს, რამდენადაც რუსეთის იმპერიას, რომელსაც სწადია საქართველოს დასუსტება და შთანთქმა. აფხაზეთი — ეს არის პროვოკაცია, რომელიც კრემლმა შემოგვიგდო. საქართველო მოითხოვს რუსეთის მიერ წართმეული დამოუკიდებლობის აღდგენას. ეროვნული ურჩობის საკითხი სულ მალე გადაწყდება, ეს ყოველ აქ მყოფზეა დამოკიდებული. უნდა მოითხოვონ საქართველოს გამოსვლა სსრ კავშირიდან, საერთაშორისო სამართლებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე.

მოუწოდებს ხალხს შევიდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სხვა ფორმირებების რიგებში, დაიწყონ ბოიკოტი კომუნისტური პარტიისადმი, გამოუცხადონ მას ეროვნული ურჩობა".

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს, თბილისის მკვიდრი, უპარტიო, ცოლშვილიანი. აქვს უმაღლესი ფილოლოგიური განათლება, არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების" გამგეობის წევრი, ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი. სამგზის ნასამართლევია. 1957 წელს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-10-ით (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა), მუხ. 58-11-ით (ორგანიზებული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულობათა ჩასადენად), და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით (პირობით).

1959 წელს მუხ. 72 ნაწ. 1-ით (წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის) — მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით (პირობით)*

1978 წელს საქართველოს სსრ სსკ მუხ. 71 ნაწ. 1-ით (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა) — მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და შემდგომ გადასახლება 2 წლით. შეიწყალა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1979 წელს...

ამ მოვლენებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ აირჩევენ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტად, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდგომ — შეიარაღებული ოპოზიცია ხელისუფლებას ჩამოაშორებს.

უშკომის აგენტთა მოხსენებიდან მოედანზე მომხდარი ამბების შესახებ: „გამსახურდია მიტინგის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური ორგანიზატორია. 5 აპრილს დღის განმავლობაში 10-ზე მეტჯერ გამოვიდა. გამომსვლელის მთავარი თემაა ნაციონალისტური გრძნობების გაღვივება. მისი ძირითადი ლოზუნგია „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის!", „საქართველო ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ამიტომ არაფერი დავუთმოთ სეპარატისტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ყველა სხვა ერის წარმომადგენლები საქართველოს მიწა-წყალზე არიან მხოლოდ სტუმრები და მასპინძელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოსთხოვოს წასვლა... არავითარი ნდობა დამპალ კომუნისტურ რეჟიმს და მის გამყიდველ ხელმძღვანელებს".

მერაბ ივანეს ძე კოსტავა დაიბადა 1939 წელს, თბილისის მკვიდრი, უპარტიო, განქორწინებული, აქვს უმაღლესი მუსიკალური განათლება, მუშაობს თბილისის № 8 სამუსიკო სკოლის პედაგოგად, არის „წმინდა ილია მართლის საზოგადოების" და ჰელსინკის ჯგუფის გამგეობის წევრი, აქვს ხუთი ნასამართლობა.

მსჯავრი დაედო 1957 წელს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 58-10-ით (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა), 58-11 (ორგანიზებული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულობათა ჩასადენად), მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით (პირობით).

1959 წელს საქართველოს სსრ სსკ მუხ. 72 ნაწ. 1-ით (წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის). მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით (პირობით).

1978 წელს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 71 ნაწ. 1-ით (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა) — თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და შემდგომი გადასახლება 2 წლით.

1982 წელს ირკუტსკის ოლქის ტაიშეტის საქალაქო სახალხო სასამართლომ რუსეთის სფსრ სსკ მუხ. 206 ნაწ. 2-ით (ხულიგნობა) მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

1985 წელს ქ.ანგარსკის რაიონულმა სახალხო სასამართლომ შრომა — გასწორებითს დაწესებულებაში ყოფაქცევის რეჟიმის ბოროტი დარღვევისათვის რუსეთის სფსრ სსკ მუხ. 188 ნაწ. 2-ით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და დაუმატა მოუხდელი სასჯელის ვადის 6 თვე და შემდგომი გადასახლების 3 თვე.

(შეწყალებულია 1987 წელს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით).

ცოტა ხანში 9 აპრილის ტრაგიკული ამბების შემდეგ კოსტავა იდუმალებით მოცულ ვითარებაში იღუპება საავტომობილო კატასტროფის დროს და იკრძალება მამადავითის პანთეონში, საქართველოს ყველაზე სასიქადულო ისტორიული პირების საფლავების გვერდით. ამ გადაწყვეტილების ირგვლივ რესპუბლიკაში დიდხანს იქნება მწვავე ვნებათღელვა და მძაფრი დისკუსია.

გიორგი ოთარის ძე ჭანტურია დაიბადა 1959 წელს, თბილისის მკვიდრი, ცოლ-შვილიანი, აქვს უმაღლესი ისტორიული განათლება, არის საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის ბიბლიოგრაფი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. ნასამართლევია.

მსჯავრი დაედო 1983 წელს საქართველოს სსრ სსკ მუხ. 206-3-ით (საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი ჯგუფური მოქმედების ორგანიზაცია ან აქტიური მონაწილეობა ამ მოქმედებაში) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. შეიწყალეს 1985 წელს. მთავრობის სახლთან გამართული მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1991 წელს უკვე პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას ინიციატივით მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში იგივე მოქმედებისათვის, მაგრამ ხელისუფლებიდან ზვიად გამსახურდიას გადაყენებასთან დაკავშირებით სასამართლო გარჩევა და სისხლის სამართლის საქმე შეწყდება, შესამჩნევ როლს ასრულებს ახალ ქართულ პარლამენტში.*

ზურაბ ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1953 წელს, თბილისის მკვიდრი, უპარტიო, განქორწინებული, აქვს უმაღლესი ფილოლოგიური განათლება, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის კოლეგიის რედაქციის გამგე. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი („მეოთხე დასის" გამოსვლის შემდეგ). სწორედ მისი მოწოდებით გამოვიდნენ თბილისის უნივერსიტეტის უსანქციო მიტინგის მონაწილენი მთავრობის სახლის წინამდებარე მოედანზე. საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე, ოღონდ ზომიერ ლიბერალურ შეხედულებებზე მდგომი. წინააღმდეგი იყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში" ზ.გამსახურდიას რიგით წევრად მონაწილეობისაც კი. ნასამართლევი არ ყოფილა.

სწორედ ასე ახასიათებდნენ უშკომის ორგანოები ზემოთ ჩამოთვლილ პირებს და მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინ სწორედ ეს ცნობები ჰქონდა მათ შესახებ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელობისათვის, ესენი იყვნენ მტრები, რომლებიც უნდა დაეპატიმრებინა, იზოლაციაში მოექცია, და არა — გაემართა მათთან მოლაპარაკება.

აქ დასახელებული არიან არაფორმალური პოლიტიკური ორგანიზაციების მხოლოდ ის ხელმძღვანელები და მიტინგის ორგანიზატორები, რომელთა მიმართ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს 8 აპრილის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი და მიიღეს გადაწყვეტილება დაპატიმრების შესახებ. სწორედ ასე განსაზღვრავდნენ საბჭოთა ხელისუფლების მთელი არსებობის მანძილზე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ბედს: მათი დაპატიმრების, სამართალში მიცემისა და თვით სასჯელის ღონისძიების საკითხს წყვეტდნენ არა სამართალდამცველი ორგანოები, არამედ შესაბამისი დონის პარტიული ორგანოების ხელმძღვანელები. პროკურორებს, გამომძიებლებსა და მოსამართლეებს ისღა რჩებოდათ, რომ შეესრულებინათ მათ ნაცვლად მიღებული გადაწყვეტილება და ხელი მოეწერათ ფაქტორივად უკვე გამოტანილი განაჩენისათვის. ერთობ ნიშანდობლივია, რომ მოვლენების წინ საქართველოს ხელმძღვანელობამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიმართა თხოვნით მიეცა ცენტრალური კომიტეტისა და უშკომისათვის სანქცია არაფორმალების ლიდერთა დაპატიმრების შესახებ. იგივე თემა არაერთგზის განუხილავთ საქართველოს ხელმძღვანელებს ე.ლიგაჩოვთან და ვ.ჩებრიკოვთან სატელეფონო საუბრების დროსაც.

ჩებრიკოვმა ყრილობის კომისიისადმი ახსნა-განმარტებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაფორმალების ლიდერთა დაპატიმრების თემა გამუდმებით ტრიალებდა საქართველოს ხელმძღვანელებთან საუბრების დროს და რომ იგი ურჩევდა არ ექნათ ეს, ვინაიდან არ იყო დარწმუნებული, არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულებანი დაპატიმრებისა და ბრალდებისათვის. ამიტომ ურჩევდა ემოქმედათ წინდახედულად, შექმნილ გარემოებათა კვალობაზე.

მაგრამ თვით იმ ფაქტს, რომ ვისიმე დაპატიმრების საკითხს განიხილავდნენ არა სამართალდამცველ ორგანოებში, როგორც ეს უნდა ყოფილიყო კანონის მიხედვით, არამედ პარტიულ ინსტანციებში, ყველა ჩვენი თანამოსაუბრე აღიქვამდა როგორც ნორმალურ მოვლენას. ასე იყო მიღებული. ასე კეთდებოდა მუდამ... მაშ, როგორ უნდა ყოფილიყო სხვაგვარად?

ასე იყო ამჯერადაც. მიტინგის ორგანიზაციასა და მოწყობაში მონაწილეობდნენ უკვე დასახელებული არაფორმალური ორგანიზაციების სხვა ლიდერებიც: თ.რ. ჩხეიძე, დ.დ. კოპალიანი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრები, ი.გ. შენგელაია — „საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის" საბჭოს თავმჯდომარე, ბ.დ. კაკუბავა — „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" სოხუმის ფილიალის გამგეობის წევრი, ზ.შ. გოგბაიძე — „წმინდა ილია მართლის" საზოგადოების რუსთავის ფილიალის ხელმძღვანელი... მაგრამ კომუნისტური ხელმძღვანელობის თვალში ისინი არ იყვნენ ისე საშიშნი, რომ ღირებულიყო მათი დაპატიმრების გადაწყვეტილების გამოტანა.

საგულისხმოა, რომ მიტინგის მიმდინარეობის პერიოდში, ის კი თითქმის ექვს დღელამეს გრძელდებოდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ ცდილა მიეღწია თანხმობას მომიტინგეებთან. სამართლიანობის გულისათვის უნდა ითქვას, რომ ჯუმბერ პატიაშვილი შეეცადა დაემყარებინა დიალოგი ოპოზიციის ლიდერებთან, მაგრამ ვერაფერი გააწყო. და ვერც გააწყობდა, იმიტომ, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს არ წარმოედგინათ, რომ ოპოზიციასთან შეიძლებოდა ლაპარაკი, როგორც ტოლთან, თანასწორთან, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მოთხოვნების გათვალისწინებით და მათი აზრის სრული პატივისცემით; ისინი უბრალოდ ფსიქოლოგიურად არ იყვნენ მზად ამისათვის. ხოლო ოპოზიციასთან ტრადიციული სტილით — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოძახების გზით — დალაპარაკების ცდა, ბუნებრივია, ვერ დაგვირგვინდებოდა წარმატებით, არაფორმალების ლიდერებმა უბრალოდ არ მოინდომეს ამ შეხვედრაზე მისვლა. პოლიტიკური დიალოგის უუნარობამ, რომელიც კომუნისტურ ხელმძღვანელობას გამოუმუშავდა 70 წლის განუყოფელი ბატონობის განმავლობაში, პოლიტიკური კომფორტის ჩვეულებამ, რომელიც საჯაროობისა და დემოკრატიის არარსებობამ წარმოშვა, გახადეს იგი უმწეო რთულ სიტუაციებში. და უსუსური — გადაეწყვიტათ წამოჭრილი პრობლემები პოლიტიკური, და არა რეპრესიული საშუალებებით.

9 აპრილის შემდგომ

ვისი სახელებით იყო წარმოდგენილი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ ტრაგიკულ დღეებში და ვინ შეასრულა ყველაზე შესამჩნევი როლი საბედისწერო გადაწყვეტილებათა მიღებასა და განხორციელებაში?

აი, მოქმედ პირთა და შემსრულებელთა მოკლე ნუსხა.

ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი დაიბადა 1939 წლის 5 აგვისტოს, ქ. ლაგოდეხში, ქართველია, სკკპ წევრი 1959 წლიდან.

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ასპირანტურა, არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. ჩვეულებრივი ნომენკლატურული კარიერა: ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, მეცნიერ ახალგაზრდობასთან მუშაობის სექტორის გამგე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხიმგებელი ორგანიზატორი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

1985 წლიდან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1989 წლის 14 აპრილს გადადგა 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით და დატოვა პოლიტიკური ასპარეზი. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ყველა თათბირი ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობაში, რომლებზეც მიიღეს ავბედითი გადაწყვეტილებანი.

არჩეული იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად, მაგრამ პირველ და მეორე ყრილობებზე, როდესაც თბილისის ტრაგედიას განიხილავდნენ, დუმილი ამჯობინა. 1991 წლის 14 სექტემბერს ტრაგედიიდან თითქმის 2 წლის შემდეგ, პატიაშვილს მოულოდნელად „აღმოაჩნდა" ხმა და ვაჟკაცობა, გამოექვეყნებინა სტატია აპრილის ამბების შესახებ გაზეთ „იზვესტიაში".

ეტყობა პუტჩმა და კომუნისტური პარტიის შემდგომმა კრახმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს ჩაუსახეს იმედი, რომ გაიმართლებდა თავს 1989 წლის აპრილისათვის. სახტად დავრჩი, როდესაც „იზვესტიაში" წავიკითხე სამი სვეტი, რომელიც ნაკარნახევი იყო არა მონანიების გრძნობით და საკუთარი ერის წინაშე ბრალის გაცნობიერებით, არამედ თავის მართლების სურვილით:

„... დღეს თბილისის ტრაგედიისა და მოსკოვის 19 აგვისტოს ამბების კავშირი აშკარაა. ამიტომ ყოველი ადამიანი უნდა შეეცადოს, შეიტანოს წვლილი ამ გადატრიალების ფარული მექანიზმების სააშკარაოზე გამოტანაში. ეს ხომ სწორედ ის ზამბარებია, რომლებიც ასე ხშირად არ უტოვებდნენ ადამიანებს არავითარ არჩევანს, აიძულებდნენ დაევიწყებინათ საკუთარი პრინციპები, ღირსება, სიმართლე. გარდაქმნის დროს ქვეყნის უმაღლეს პარტიულ სტრუქტურებს წუთითაც არ გაუშვიათ ხელიდან საკადრო ბერკეტები რესპუბლიკაში, ინფორმაციის ძირითადი არხები. რა გვაიძულებდა ჩვენ, პარტიულ ხელმძღვანელებს წინ და უკან გვერბინა ცვლილებების რწმენით აღსავსე საზოგადოებრიობისა და ტოტალიტარულ იდეოლოგიას შორის...

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ კრიუჩკოვის დამტკიცებისას უზენაესმა საბჭომ უყოყმანოდ დაიჯერა, რომ არც მან, და არც მისმა ადგილობრივმა აგენტებმა არ იცოდნენ ბოლომდე, რა მწიფდებოდა თბილისში. დაიჯერეს ისიც, რომ ეგრეთ წოდებულ „ოპერაციამდე" 15 წუთით ადრე მათ არაფერი იცოდნენ ამ ოპერაციის შესახებ. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ინფორმაციას იღებდა სწორედ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხაზიდან! ეს ჩვენი მთავარი შეცდომა იყო. მაგრამ თბილისის ამბებამდე, და თბილისის ამბების შემდეგაც, უშკომის ინფორმაციის მოხელთება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. თვით სობჩაკის კომისიაც კი არ გააკარეს ბევრ მნიშვნელოვან დოკუმენტს.

... საზოგადოებრიობა დარწმუნდა, საბუთების გაყალბების რა გაწაფული ოსტატია ლუკიანოვი. როდესაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე კითხულობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშებს (ეს დეპეშები, სხვათა შორის, ცენტრალური პარტიული აპარატიდან თბილისს შემოსეული ემისრების პირდაპირი კარნახით დაიწერა), ლუკიანოვმა შეგნებულად გამოტოვა უკანასკნელი სტრიქონი, სადაც საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის განსახილველად შეგვქონდა. ახლა არსებობს რეალური შესაძლებლობა, დადგინდეს, მაინც რა გადაწყვეტილება მიიღო პარტიის შტაბმა, ისევე როგორც არსებობს შესაძლებლობა ვნახოთ შიფროდეპეშები, ტელეფონოგრამები; სამხედრო უწყების, უშკომის, სამართალდამცველი ორგანოების ხაზით ჩვენ გამუდმებით გვაშინებდნენ, სუმგაითი მოგონილი იქნებაო. არ იქნებოდა ურიგო, დავინტერესებულიყავით, ვის დასჭირდა სუმგაითის მაგალითი, რომელსაც შემდეგ არაერთგზის გამოუწვევია პროვოკაციულად აქტიური მოქმედება მოსახლეობის წინააღმდეგ...

... აი ფაქტები. 9 აპრილის მოვლენების წინ თბილისში მოულოდნელად გამოჩნდა იაზოვის პირველი მოადგილე გენერალი კოჩეტოვი, რომელიც საგანგებო რწმუნებებით იყო აღჭურვილი. ვაღიარებ, ჩვენ მაშინ არ გვეყო ვაჟკაცობა პირდაპირ გვეკითხა ვინ მიანიჭა ეს რწმუნებები? რა საფუძველზე გააერთიანეს გენერალ როდიონოვის სარდლობით არმიის ქვეგანაყოფები, მილიცია და შსს შინაგანი ჯარები? რამდენადაც ვიცი, ასეთი უფლებები თვით თავდაცვის მინისტრსაც კი არ გააჩნია. რა იქნენ უშკომის ჯარები, რომლებზეც მოახსენეს თავდაცვის საბჭოს სხდომას, მერე კი ისინი ერთხელაც არ უხსენებიათ არსად და ტრაგედიის აღსრულებისთანავე გაუჩინარდნენ გაურკვეველი მიმართულებით?"

ღმერთმა დაგვიფაროს, დავაკნინოთ იმდროინდელი ცენტრის გავლენა რესპუბლიკაზე. ჯუმბერ პატიაშვილმა ცენტრისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ალალმართალი მსახურებით მოიპოვა პირველი მდივნის სავარძელი, იმ დროს აღზევების სხვაგვარი ხერხი ნამდვილად არ არსებობდა. და თავის ყოველ ნაბიჯს პატიაშვილი იმ დღეებში უწყობდა ჩებრიკოვისას, რომელთანაც მუდმივი კავშირი ჰქონდა და ამის შესახებ უშკომის ყოფილი შეფი გულახდილად გვიამბობდა კომისიაში. იმ დროს ისინი, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, ჯერ კიდევ მაგრად იყვნენ ერთმანეთს ჩაბღაუჭებულნი. სწორედ ამიტომ, ჩემთვის ნათელია 1991 წლის აგვისტოს შემდეგ ჯუმბერ პატიაშვილისათვის „თვალის ახელის" ფასი.

და მაინც, ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს მთელ ხელმძღვანელობაში, რომელთანაც მოუწია შეხვედრა საპარლამენტო კომისიას, პატიაშვილი გამოირჩეოდა და ახდენდა ისეთი კაცის შთაბეჭდილებას, რომელიც გულწრფელად განიცდიდა მომხდარს. რას იზამ, მას არ ეყო ხელმძღვანელის ნებელობითი და პოლიტიკური თვისებები იმ რთულ სიტუაციაში, რომელშიც ამჯობინა გადაწყვეტილების სიმძიმე საკუთარი მხრებიდან სამხედროებზე გადაეკისრებინა, მაგრამ არც იმის უთქმელობა იქნება, რომ თავისი პიროვნული, ადამიანური თვისებებითა და ქცევით ჯუმბერ პატიაშვილი უფრო კარგად გამოჩნდა, ვიდრე საქართველოს სხვა ხელმძღვანელები.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.

(გაგრძელება იქნება)

---

*არაფორმალების ლიდერთა დახასიათება აღებულია მასალებიდან, რომლებიც საქართველოს უშკომმა მიაწოდა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №158-162.

*განაჩენი გაოცებას იწვევს, იმიტომ, რომ კანონის შესაბამისად, როდესაც მსჯავრდებული პირობითი მსჯავრდების ვადის მოხდის განმავლობში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, მას უნდა დაენიშნოს სასჯელის რეალური ღონისძიება ე.ი. ამ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა.

*როგორც ცნობილია. გიორგი ჭანტურია იყო არა პარლამენტის, არამედ ეროვნული კონგრესის წევრი, მაგრამ აქაც და შემდეგაც რუსულ ტექსტში გაპარულ უზუსტობებს უცვლელად ვტოვებთ, ვინაიდან აქ დოკუმენტებია მოყვანილი. მთარგმნ. შენ.

* აქ ციტირებული ყველა ცნობა ხელმოწერილია 1989 წლის 12 მაისს საქართველოს უშკომის თავმჯდომარის მოადგილის ნ.შ. მაისურაძის მიერ. საბუთების გრამატიკული წყობა ძირითადად დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უხილავი“ ჩეჩნები

სასამართლო პროცესზე, სადაც ლოთი ქობალიასა და სხვათა საქმე იხილება, მოწმეებსა და დაზარალებულებს ხშირად ეკითხებიან: — განსასჯელებს იცნობთ? ბევრი ლოთი ქობალიასა და ჯამბულ ბოკუჩავას პირადად იცნობს, აი ნუგზარ მოლოდინაშვილსა და ზვიად ძიძიგურს კი — ტელევიზიით. დიახ, ძიძიგური ხშირად გამოდიოდა ადგილობრივი ტელევიზიით, ფაქტობრივი ხელისუფლების დამხობისა და „კანონიერი ხელისუფლების“ აღდგენისკენ მოუწოდებდა ხალხს.

მისმა ამ მოწოდებამ ზოგან, მართალია ცოტა ხნით, მაგრამ მაინც შეისხა ფრთა. სამტრედიაში, მაგალითად, ყოფილი პრეფექტი ადგილობრივ ბატალიონთან ერთად შევიდა და სულ მალე ცისფერ ეკრანზეც გამოჩნდა: — აქაც მოსახლეობას მოძღვრავდა, ნუ აჰყვებით პროვოკაციას, ნუ აჰყვებით პანიკას, ჩვენს რიგებში არაა არც ჩეჩენი, არც რუსი, აქ წმინდა სამტრედიელები ვართ!

იქნებ ამით მოსამართლე ან ერთ-ერთი პროკურორი უფრო უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ მოულოდნელად ლოთი ქობალიას ადვოკატმა ოთარ ფანქველაშვილმა ჰკითხა ზვიად ძიძიგურს, რატომ ახსენეთ თქვენს სატელევიზიო გამოსვლაში უცხოტომელებიო და განსასჯელმაც ჩვეული სისხარტით უპასუხა:

— მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიამ ჩეჩნეთს შეაფარა თავი, ეს ხელისუფლება ავრცელებდა დეზინფორმაციას, თითქოს ჩვენს რიგებში იყვნენ ჩეჩნები. იმ პერიოდში საინფორმაციო საშუალებებში ბატონობდა აზრი, ექსპრეზიდენტის მომხრეების გვერდით ჩრდილოკავკასიელებიც იბრძვიანო. ჩემს სატელევიზიო გამოსვლაში სწორედ ამიტომ გავამახვილე ყურადღება, სწორედ ამიტომ გავუსვი ხაზი, რომ ჩვენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები არ გვახლდნენ.

სამართალი

გაძევებულია... საკუთარი სურვილით

დავუჯეროთ ზვიად ძიძიგურს, რომ სამტრედიის ბატალიონს ჩეჩნები არ ახლდნენ. მაგრამ იქვე ვკითხოთ, — ეს ხელისუფლება მართლა დეზინფორმაციას ავრცელებდა ექსპრეზიდენტის მომხრეთა გვერდით უცხოტომელთა ბრძოლის შესახებ? მაშინ რა ვუყოთ მოწმე ზურაბ ბერდეხელიას, რომელმაც დაადასტურა ოჩამჩირიდან ავტობუსით ჩეჩნების ჩამოყვანა? რა ვუყოთ მოწმე რამინ სურმავას, რომელმაც ასევე დაადასტურა ზუგდიდის ქალაქის საავადმყოფოში ჩეჩნების დაბინავება?

ააა, ეს მოწმეები „დამუშავებულები“ არიან? მათ ეს ისე არ დაადასტურეს, როგორც საჭიროა? მაშინ ზვიად ძიძიგურს შევახსენებთ თავისიანის, — სოსო ლომინტის წინასწარ მიცემული ჩვენების ერთ ფრაგმენტს: „სენაკისა და ხობის დაკარგვის შემდეგ ზუგდიდში გამოჩნდნენ დაქირავებული ჯარები, რომელთა რიგებშიც იყვნენ აფხაზები, ჩეჩნები, ყაბარდოელები, მოლდაველები, რუსები... ჩვენმა პოლკმა უარი თქვა მათ გვერდით ბრძოლაზე“.

ვიდეოფირი ცოცხალი მოწმე არაა, მაგრამ იმ დღეს სასამართლო პროცესზე წარმოდგენილმა კასეტამ განსასჯელთა საწინააღმდეგო ჩვენება მისცა.

წართმეული დოლარები

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა იმ მოწმეთა ჩვენებების მიცემა, რომლებიც ფოთის ძარცვა-გლეჯას შეესწრნენ. როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, ყველაზე დიდი ქერის ორმო ფოთი იყო. ჰოდა, ხაპეს და ხაპეს ეს ორმო, ზიდეს და ზიდეს ქონებაცა და ფულიც ზუგდიდში. მიაქციეთ ყურადღება, — ყველაფერს ზუგდიდში ეზიდებოდნენ, — ხორბალსაც, შაქარსაც, ფქვილსაც, ბრინჯსაც, კონიაკსაც, არაყსაც, ფულსაც... არა თუ კანონიერი ხელისუფლება მოდიოდა, მაშინ ეს ავლადიდება სხვაგან რად მიდიოდა, რატომ ადგილზე არ რჩებოდა? ადგილობრივ მოსახლეობას საარსებო წყარო არ სჭირდებოდა?

1993 წლის 2 ოქტომბერს ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებები ფოთში შევიდნენ. მოწმე ზურაბ ყურაშვილი იმხანად ჩაის კომბინატში დაცვის უფროსად მუშაობდა. კომბინატის საწყობებში კი თევზისა და ხორცის კონსერვები, ალკოჰოლიანი სასმელები ინახებოდა. სხვისი იყო, სხვა ქვეყნისა და ინახებოდა. დაესხნენ თავს და ვიდრე ქალაქში თარეშობდნენ, სატვირთო ავტომანქანებით, უნებართვოდ და უსაბუთოდ, შორეულ გზას გაუყენეს.

— კი, მაგრამ, თქვენ დაცვის უფროსი იყავით. არ იცავდით ამ ქონებას, თქვენ თვითონ იარაღი არ გქონდათ?

— იარაღი წინასწარ ჩამოგვართვეს. თავდამსხმელებმა კი საწყობებთან ახლოს არც გაგვაკარეს. ფორმალურად მივდიოდით. ღამე საწყობებს ვკეტავდით, დილით კი დამტვრეულები გვხვდებოდა.

— თუ იცით, რომელ შეიარაღებულ ფორმირებებს ეკუთვნოდნენ თავდამსხმელები?

— არავისაც არ ეკუთვნოდნენ, უბრალოდ ბანდიტები და ყაჩაღები იყვნენ!

ყველაზე ძალიან განსასჯელებს ის სწყინთ, როცა მათ შეიარაღებულ ფორმირებებს უკანონოს, მით უმეტეს, ბანდიტებსა და ყაჩაღებს უწოდებენ. დაფიქრდები, მაგრამ სხვა სახელს ნამდვილად ვერ მოუძებნი!

განსაკუთრებული ყნოსვა ჰქონდათ! იცოდნენ, სად რა იდო. შეიარაღებული ფორმირებების შემოსვლიდან მესამე თუ მეოთხე დღეს დაიბარა თავისთან გურამ აბსანძემ „აგრობანკის“ მმართველი ვასილ თოდუა და ფული მოსთხოვა. 97 ათასი დოლარი ინახებოდა იმხანად ბანკში. ცოტა იეშმაკა თოდუამ. უთხრა აბსანძეს, — პირდაპირ წაღება რად გინდათ, ზუგდიდში გაქვთ ეროვნული ბანკის ფილიალი, აიღეთ და იქ გადარიცხეთო. როგორც ჩანს, ჭკუაში დაუჯდათ. იმავე დღეს ზუგდიდის ფილიალის უფროსი თოდუასთან აფრინეს და ის 97 ათასი დოლარი უბოდიშოდ ჩამოართვეს.

— კანონიერი იყო აბსანძის მოთხოვნა? — ჰკითხეს მოწმეს.

— არა, ამიტომაც მოვთხოვე თანხის ეროვნულ ბანკში გადარიცხვა.

— ვის აცნობეთ ამ თანხის გადარიცხვა?

— ვისთვის უნდა მეცნობებინა, ქალაქის ხელმძღვანელობა ერთიანად გაქცეული იყო. მეორე დილით კი ეს ამბავი ტელევიზიით გამოაცხადეს და მთელ რესპუბლიკას გააგებინეს.

სხვათა შორის, ჯამბულ ბოკუჩავამ მადლობა გადაუხადა ვასილ თოდუას ჯერ დოლარების შენახვისა და შემდეგ უსიტყვოდ ჩაბარებისათვის. მან დაამატა, ეს ფული ზუგდიდში მყოფ ლტოლვილებს მოხმარდაო.

ლტოლვილები ფოთშიც ხომ იყვნენ? იმათ რა, აწყენდათ ამერიკული დოლარები? ცოტა მაინც დაეტოვებინათ, თუნდაც სათქმელად!

გამოცვლილი ჰაერი

თვეზე მეტია ნუგზარ მოლოდინაშვილი შიმშილობს. იგი მოითხოვს შეხვედრას უცხო ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან. მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილის თანხმობით განსასჯელი ინახულა საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელმა, ამერიკის ვიცე-კონსულმა. მაგრამ იგი ამას საკმარისად არა თვლის და სურს აუცილებლად ეწვიონ იგმფ-ს, — ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები, აგრეთვე ჟურნალისტები. არადა, ჩვენს პრესაში ყოველ დღეა მათი ინტერვიუ, განცხადება, მიმართვა...

ლოთი ქობალიამ, ჯამბულ ბოკუჩავამ და ზვიად ძიძიგურმა სოლიდარობა გამოუცხადეს ნუგზარ მოლოდინაშვილს. შიმშილობა მათაც დაიწყეს, თან ახალი მოთხოვნაც წამოაყენეს, — დააბრუნეთ ნუგზარ მოლოდინაშვილი სასამართლო პროცესზე, რათა მან დაიცვას საკუთარი ინტერესები!

როცა ნუგზარ მოლოდინაშვილი სასამართლო პროცესიდან გააძევეს, „საქართველოს რესპუბლიკამ“ პატარა ინფორმაცია დაბეჭდა. იქ ითქვა, რომ ნუგზარ მოლოდინაშვილი თავისუფლად (უფრო სწორად, — გამომწვევად) იქცეოდა, განსასჯელის სკამზე თუშური ქუდით იჯდა, რეპლიკებს ისროდა, დარბაზში მსხდომთ ელაპარაკებოდა, გაზეთებს კითხულობდა, ხუმრობდა, კევსაც ღეჭავდა... იმ დღეს შეურაცხმყოფელი სიტყვებიც იხმარა. ამასთან, ფეხზე წამოდგა და მოსამართლეს ლამის უბრძანა: — გამაძევეთ! ნამდვილად ეხვეწნენ, — დაბრძანდითო. თავი მოიკლა, გინდათ თუ არა გამაძევეთო, ჩვენ ამ დარბაზში ერთად ვერ ვისუნთქებთო. სხვა გზა არ იყო, — სპეციალური განჩინებით გააძევეს.

იმ ინფორმაციას ასე ერქვა: „წადი, თავისუფალი ხარ!“ მალე მას ნუგზარ მოლოდინაშვილმა პრესაში პასუხი მოაყოლა: „დიახ, მე თავისუფალი ვარ!“ სხვებთან ერთად მან ამ პასუხში ასეთი ფრაზაც იხმარა: „დიახ, მე და მხოლოდ მე, როცა მსურდა, მაშინ დავტოვე დარბაზი... თავისუფლება სხვა არაფერია... მე ჩემი გავაკეთე!“

გულახდილად უნდა ითქვას, და ამას, ალბათ, არც არავინ უარყოფს, რომ სჯობია განსასჯელი პროცესს ესწრებოდეს, მოწმეებსაც უსმენდეს და მართლმსაჯულების წარმომადგენლებსაც, საკუთარ ინტერესებსაც იცავდეს და სხვისასაც... მაგრამ... თუ კაცი ძალით გაგაძევებინებს თავს? არა, სასამართლო დარბაზი არაა შაპიტო (ასე მოიხსენიებდა სასამართლო დარბაზს) და განსასჯელიც იქ მარტოოდენ საოხუნჯოდ და სალაზღანდაროდ არაა მოწვეული.

ნუგზარ მოლოდინაშვილის დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი ისევ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. მანამდე კი... რა აზრისაა თავად განსასჯელი, დაბრუნდება პროცესზე? ესეც ხომ საფიქრალია!

თუმცა... როცა ნუგზარ მოლოდინაშვილი პროცესიდან გააძევეს, მაშინ სასამართლო სხვა, № 6 დარბაზში იმართებოდა. ერთ-ერთი ხანგრძლივი, იძულებითი შესვენებისას იმ დარბაზში „მხედრიონელები“ შეიყვანეს, ლოთი ქობალიას ხალხი კი შემდგომში № 1 დარბაზში გადმოიყვანეს. ვინ იცის, იქნებ ამ დარბაზში მოხერხდეს ერთად სუნთქვა? აქ, ცოტად თუ ბევრად, მაინც „სხვა ჰაერია“!

ბადრი იაშვილი.

კავშირგაბმულობა

სპილენძის ქურდობა შეწყდა, კაბელებს მაინც აზიანებენ

ქვეყანაში ბოლო ხანს, ასე თუ ისე, სპილენძის ტელეფონის სადენებისა და კაბელების ქურდობის შემთხვევები შემცირდა. ქვეყანა ნელ-ნელა აღმშენებლობის გზას დაადგა, მაგრამ ახლა მეორე გაუგებრობამ იჩინა თავი. ვისაც სად მოესურვება, იქ თხრის და აშენებს, არავინ კითხულობს მიწაში ტელეფონის კაბელი დევს, ძენი გადის თუ, საერთოდ, დანაღმულია...

10 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში სამშენებლო ფირმა „დარია“, რომელიც მიწის სამუშაოებს ასრულებდა ზემო ბაგების მიდამოებში, მიწაში სატელეფონო კაბელს გადააწყდა. იგი საგანგებოდ აზბესტის მილებშია გატარებული და ამდენად შეუმჩნეველი არ გახლავთ. ექსკავატორის მემანქანემ კი დაინახა მილები, მაგრამ სამუშაოთა მწარმოებელმა დაამშვიდა — საქმე გააგრძელე, პასუხს მე ვაგებო. მანაც 100 მეტრი სიგრძის წყვილი კაბელი ნაკუწ-ნაკუწად აქცია და ხევში გადაუძახა...

სატელეფონო კავშირი გაეთიშა წყნეთს და 22 ელექტრო-ციფრული ატესი მართვის სისტემის გარეშე დარჩა. როგორც კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროში გვითხრეს, ზარალმა 20 ათას ლარს გადააჭარბა. ელექტრონული კავშირის გენერალური დირექტორის ავთანდილ იაშვილის, თბილისის სატელეფონო ქსელის მთავარი ინჟინრის ბონდო ხუხუნეიშვილისა და ქალაქის სატელეფონო ქსელის ცენტრალური განყოფილების უფროსის აკაკი ხულუზაურის ძალისხმევით დაზიანება მალე აღმოაჩინეს და თითქმის სარეკორდო ვადებში აღადგინეს წყნეთის სატელეფონო ქსელის ნორმალური მუშაობა.

სამწუხაროდ, ეს ერთეული ფაქტები არ გახლავთ, ასევე მიწის სამუშაოების დროს, თბილისის გაზის საავარიო სამსახურმა 25 ივლისს თბილისი-საგარეჯო-თელავის საქალაქთაშორისო სატელეფონო მაგისტრალი დააზიანა და კახეთის რეგიონი სამყაროს მოსწყდა. საერთო ზარალმა 24090 ლარი შეადგინა. ჯერჯერობით იგი არავის აუნაზღაურებია...

ასეთი წვრილ-წვრილი ავარიები, როგორც კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ თოდუა ამბობს, ძალიან ხშირია. ადრე არსებობდა უწყება, რომელიც მიწის სამუშაოების დაწყების უფლებას სათანადო სამსახურების (საქენერგოს, საქგაზის, კავშირგაბმულობის სამინისტროსა და სხვა) ნებართვის გარეშე არავის აძლევდა.

ეს პრაქტიკა უნდა აღდგეს და სანქციებიც გამკაცრდეს, თორემ ერთი თუ ვაშენეთ და მეორე ათჯერ მეტად ვანგრიეთ, არ ივარგებს.

შოთა მაჭარაშვილი.

თემურ ფიფიას დამკრძალავი კომისიისაგან

თემურ ფიფიას პანაშვიდები გაიმართება 1996 წლის 15 და 16 აგვისტოს, 18 საათზე განსვენებულის ბინაში (დიდი დილომი, გიორგი ბრწყინვალეს, 31).

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 17 აგვისტოს, 18 საათიდან, რუსთაველის პროსპექტი, № 29 (ყოფილი პარლამენტის შენობაში).

გამოსვენება 17 აგვისტოს, 15 საათზე, დაკრძალვა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ამინდი

13 აგვისტო

თბილისში ღამით ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი ელჭექით, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 19-21, დღისით 29-31 გრადუსი სითბო.

გთავაზობთ
საწერ, საბეჭდ და ქსეროქსის
ქაღალდს
უნაღდო ანგარიშსწორებით,
ადგილზე მიწოდებით.
☎ 38-91-64; 39-84-05

გახსენება

მათ არაგველთა გმირობა გაიმეორეს

შინაგანი ჯარების სოხუმის ცალკე ბატალიონის მებრძოლებს 1993 წლის 25 ივლისს ტამიშთან მოულოდნელად სისხლისმღვრელ ბრძოლაში მოუხდათ ჩაბმა. მტრის ხუთგზის ჭარბმა ძალებმა 25-კაციან ჯგუფს ყოველი მხრიდან მოუჭრა გზა.

ტყვედ დანებება აზრადაც არავის მოსვლია. ისინი მამაცურად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ, სამასი არაგველის მსგავსად იმ დღეს ბრძოლის ველიდან ცოცხალი არცერთი აღარ დაბრუნებულა.

სამშობლოს ღირსებას გმირულად იცავდნენ: ზემდეგი ზინჭიკო ბედიკოს ძე აბალაია, რიგითი გურამ ბედიკოს ძე აბალაია, ზემდეგი დავით ნოდარის ძე ბებია, ზემდეგი ნოდარ კლიმენტის ძე ბეჭვაია, ზემდეგი მურთაზ ნოდარის ძე გაბიძაშვილი, რიგითი ვასო ვლადიმერის ძე გახარია, ზემდეგი გია იურის ძე გვილავა, ზემდეგი ლევან ილიას ძე გურჩიანი, ზემდეგი რევაზ აკაკის ძე დარსანია, რიგითი ბადრი გურამის ძე თორდინავა, რიგითი ედემ ვარლამის ძე კარტოზია, ზემდეგი ოლეგ დავითის ძე ლოლაძე, ზემდეგი მერაბ ანგის ძე მაჩაიძე, ზემდეგი რევაზ ანგის ძე მაჩაიძე, ზემდეგი გურამ ელიზბარის ძე ნაროუშვილი, ზემდეგი ზურაბ ალექსანდრეს ძე სხულუხია, რიგითი თენგიზ არველოდის ძე ტყებუჩავა, ზემდეგი ნუგზარ ალექსანდრეს ძე ქობალავა, ზემდეგი კობა ვლადიმერის ძე ქრისტესაშვილი, ზემდეგი სოსო ვალიკოს ძე ყაჩალავა, რიგითი აბელ ვასილის ძე ყურაშვილი, ზემდეგი რომან მიხეილის ძე შოგირაძე, რიგითი მამუკა მიხეილის ძე შონია, ზემდეგი ლერი გიორგის ძე წივილაშვილი, ზემდეგი ზურაბ სოსოს ძე წიქარიძე.

დიდება, საუკუნო ხსენება მათ! საქართველოში მებრძოლის გენი არ დაკნინებულა, ის კიდევ იტყვის თავის სათქმელს!

საქართველოს შსს შინაგანი ჯარების ს/ნ 2055-ის მეთაური, პოლკოვნიკი
შოთა კვარაცხელია.

დედა ნადია ქანთარია-ფიფია, მეუღლე თინათინ (ირინა) ფიფია, შვილები ბექა, თამარი, ძმა თორნიკე, ძმიშვილები შალვა, ნათია, ნინო, ბეფთუ, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ შალვას ძე ფიფია

საქართველოს პარლამენტი თანაგრძნობას უცხადებს პარლამენტის წევრს ბატონ თორნიკე ფიფიას ძმის

თემურ ფიფიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთების „სვობოდნაია გრუზია“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორს აპოლონ სილაგაძეს დისშვილის

გიორგი (გიგი) თენგიზის ძე ზულიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გარდაიცვალა **გიორგი (გიგი) თენგიზის ძე ზულიაშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მომავალი აღმოსავლეთმცოდნე.

19 წლის ახალგაზრდა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

დაკრძალვა სამშაბათს, 18 აგვისტოს, 15 საათზე, თემქის დასახლება, მე-9 კვ. კორპ. 22.

შვილი არჩილ ხომასურიძე, ბიძაშვილები ნური, ნელი, ირაკლი, იური, თამრიკო ხომასურიძეები, ცოლისდები ლილი, ციცო ცინცაძეები, სიძე საშა ჩიხლაძე, მანანა, დათო ერისთავები, ტუგა, დუდანა ჩიხლაძეები, გოგლიკა ცინცაძე, რომა, მანანა შაქარიშვილები, რომა ბაქრაძე, მაია იანქოშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ნიკოლოზის ძე ხომასურიძე

პანაშვიდი 13, 14 VIII, 5 ს., გამოსვენება 15 VIII, 4 ს., ბაკურიანის, 2.

ნიკოლოზ და გურამ ბერუაშვილები, მარიამ კახაბრიშვილი, ნაირა ეპიტაშვილი, მარიკა, მაია, თეონა, ნიკა, თამთა ბერუაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაზი ივანეს ასული მამუკაშვილი-ძიძიკაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ამავე ინსტიტუტის დირექტორს არჩილ ხომასურიძეს მამის

გიორგი ხომასურიძის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ჯუმბერ ფანქველაშვილს მამის

იოსებ ფანქველაშვილის

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა 15 VIII, 2 ს., ხურამში, ალმაშენებლის 25.

ჩემი თანამედროვე

ფიცხელაურო, ხომ არ დაცხრა შენი სიფიცხე!

ორმოცდაათი წლის თავზე, როდესაც უკვე ნახევარი ცხოვრების გზა გავლილია, რა თქმა უნდა, უპირველესად, გაფრენილ სიჭაბუკეს მოიგონებ, შენგელი ფიცხელაურო!...

გაიხსენებ ახმეტასა და ახშამს, იქაურ ზაფხულის საღამოებს, ტოლ-ბიჭებში ჭიდაობას, მოგვერდსა და სარმას...

სწორედ იქ შეგამჩნიეს, სწორედ იქიდან ჩამოგიყვანეს თბილისში, აქაოდა, დიდი მომავლის მქონე მოჭიდავე გვეზრდება ახმეტელებს და, ვინძლო დედაქალაქში უკეთ მიხედოთო..

აქ, ორმოცდამეექვსე სკოლაში გაასრულე საშუალო, პარალელურად სწავლობდი მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში და, თანაც, თავგამოდებით ვარჯიშობდი ცნობილ მწვრთნელ შოთა ზუკაკიშვილთან.

აბა, დღეები ის იყო... ჭიდაობის სამ სახეობაში — თავისუფალში, სამბოსა და ძიუდოში სპორტის ოსტატი გახდი, მოგვიანებით ერთიანად სამბოსა და ძიუდოში გადახვედი და საერთაშორისო სპორტის ოსტატობა მიიღე....

მოგონებებში სტუდქალაქი და იქაური ძმა-ბიჭებიც წამოტივტივდებიან, შენგელი.. აბა, ფარნაოზას რა დაგავიწყებს — ფარნაოზ ჩიკვილაძეს — უღვთოდ დაღუპულ შესანიშნავ მოჭიდავეს... ისიც ახმეტელი იყო...

ჩვენ სწორედ სტუდქალაქში გავიცანით ერთმანეთი, ცეზარ შატირიშვილთან, სტუდენტურ მწირ პურმარილზე... ცეზარას ტიკჭორა ხომ გახსოვს, არ იცლებოდა ღმერთძაღლი!...

სწორედაც რომ გვეამაყებოდი. აბა, 1968-70 წლების საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამბოში, შემდეგ ძიუდო შემოვიდა და, ამ სახეობის ევროპის ჩემპიონი 1973-75 წლებშიო, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი 1973 წელსო... ვინ დააკლდებოდა მაშინ თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებს და ჩვენც გიჭერდით მხარს, რაც შეგვეძლო, შევნატროდით შენს სიჩაუქეს და სიფიცხეს....

მაზიაშვილიც მოგაგონდება, შენგელი, ბატონი ბიძინა მაზიაშვილი — საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი... გამარჯვებებით მოიარე ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, იაპონიის, კორეის საერთაშორისო ტურნირები....

სპორტსმენებს რომ იოლი „გასეირნება“ სჩვეოდათ საგამოცდო სესიებზე, არც ეგ გიკადრებია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრე, მერე — იურიდიული, ხალიჩის გარეთ, უკვე ცხოვრებასთან „საჭიდაოდ“, გულდაგულ მოემზადე.

ეს დროც დადგა და აგერ, ამდენი ხანია სამართალდამცავ ორგანოებში ხარ სულ პასუხსაგებ თანამდებობებზე. ჯერ გამომძიებელი იყავი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში, მერე განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, მერე ყოფილი კიროვის რაიონის საგამოძიებო განყოფილების უფროსი, მერე მშობლიურ ახმეტას მოევლინე მილიციის უფროსად და შენი ხალხის ჭირ-ვარამი გაიზიარე...

მაგას მანდ რა უნდა, უფრო დიდი საქმეებისთვის არის მოწოდებულიო და დედაქალაქში, შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსად „გადმოგისროლეს“, მერე, ერთხელ მოადგილეც ხომ უნდა იყოსო, და იქვე მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაგნიშნეს... დღეს კი დალვინებულ-დაბრძენებული, ორმოცდაათი წლის ასაკში თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ბრძანდები...

აბა, ვინმემ გაიხსენოს შენი ცუდკაცობა. ვის მოუბრუნდება ენა, არადა, თქვენს საქმეში ძალიან ძნელია, უმადური არ გყავდეს...

ასე მოდიხარ დღემდე შენი მშვენიერი ოჯახით, ორ შვილს აფრთიანებ, ახლა ათი წლის ნიკა ფიცხელაურს წვრთნი ძიუდოში. ვინ იცის, იქნებ შენი დაუპყრობელი მწვერვალები მას ელოდება...

ღმერთმა ხელი მოგიმართოს — ჩვენს საზოგადოებას დღეს, როდესაც მტყუან-მართალი ერთმანეთშია არეული, სწორედ შენისთანა კაცები სჭირდება.

ვილენ მარდალეიშვილი.

ბრალი ედებათ

ეშმაკის ზეიმი გამთენიისას

ამ სათაურით გიამბეთ შაბათს წალენჯიხაში შელაპარაკებული მამა-შვილის ამბავი. 57 წლის აბელ მიქავამ სასიკვდილოდ რომ ჩასცა 30 წლის შვილს, ფრიდონს დანა. მერე კი თვითონ ჩაიცა... მაგრამ იმ დღეს შვილი გარდაიცვალა, თვითონ გადარჩა... მაინც სიკვდილი არჩია შვილის მკვლელმა და დაჭრილი საავადმყოფოს მეორე სართულიდან გადმოხტა...

ნაპოვნია

მოსკოვის გამზირზე უნივერსამ „მოსკოვის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიაგნო თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ოპერატიულ-საგამოძიებო სამსახურმა მაისში გატაცებულ ჩხოროწყუს „საქსოფლმშენკომპლექსის“ კუთვნილ ავტომანქანას „კამაზ-ცისტერნას“.

არ შეერგოთ

სამცხე-ჯავახეთის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს რეგიონულმა განყოფილებამ დააკავა ვალეში მცხოვრები 23 წლის ხვიჩა ხარაიშვილი, ახალციხელები: 40 წლის ილია დუღარიძე, 24 წლის ზაზა გულიაშვილი და 23 წლის სლავა მეტრეველი, ისინი 1993 წელს აბაშაში ყაჩაღურად დაესხნენ თავს თამაზ მოწონელიძის ოჯახს.

რუსთავის პოლიციამ კი დააკავა ქარელის რაიონის სოფელ ქვედა ტყოცაში მცხოვრები 22 წლის ვლადიმერ დულარიძე, რომელმაც მე-5 საშუალო სკოლიდან 9 კომპიუტერი მოიპარა.

ნეტავ ამათთვის ერთხელაც არავის უთქვამს — რაც არ გერგება, არ შეგერგებაო?

შსს პრესცენტრის მასალების მიხედვით.

საქართველოს პროკურატურის პრესცენტრის ცნობა

1995 წლის ნოემბერში ან დეკემბერში თბილისში, მეტროს სადგურ „წერეთლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ორი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ახალგაზრდა კაცს, თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს და გახადეს ქურთუკი.

დაზარალებულმა, როგორც ჩანს, მომხდარის შესახებ არ აცნობა პოლიციას.

დამნაშავეები ამჟამად დაკავებულები არიან, ჩამორთმეულია ნაყაჩაღარი ნივთები.

დაზარალებულს ვთხოვთ, მიმართოს საქართველოს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატს. ტელეფონი: 94-31-82.

ჩოგანი

რეპეტიცია ბათუმში

8 ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი) მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩს სტუმრად იტალიელ თანატოლებთან გამართავს.

მნიშვნელოვანი ასპარეზობისათვის მზადების პროგრამით ჩვენმა გუნდმა ბათუმის ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრაში უკრაინელებს უმასპინძლა და დამარცხდა 1:2. გოლები გაიტანეს აშვეთიამ (მე-6 წთ), მოროზმა (მე-8 წთ) და გოლოვკომ (38-ე წთ).

რეპეტიციაზე ქართველი ახალგაზრდები საუკეთესო ძალებით შეიკრიბნენ, მაგრამ როგორც თამაშის მსვლელობამ დაგვარწმუნა, სათანადო კონდიციების მისაღწევად და შესათამაშებლად მათ, განსაკუთრებით დაცვას, კიდევ ბევრი ოფლისღვრა მართებთ.

წყარო არ დამშრალა...

თბილისქალაქის მეზობელი სოფელი — დიდი ლილო იმთავითვე ცნობილი იყო გამორჩეული ფალავნებით: XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საჭიდაო სარბიელზე ლილოელის ფსევდონიმით გამოდიოდა „ბაჭუაანთი“ თედო ავალიშვილი. თედო ლილოელის დევგმირულ ძალაზე ლეგენდები დადიოდა. დღესაც ინახება ლილოში ის უმშვენიერესი ვერცხლის ქამარი, რომელიც საუკუნის წინათ კულა გლდანელმა თედო ლილოელს გადასცა საჩუქრად. ერთხელ ილია ჭავჭავაძეს თედოსათვის სვეტიცხოვლობაზე კარგი ჭიდაობისათვის თუმნიანი უჩუქებია...

არც დღეს ივიწყებენ ლილოელები სპორტს. მეტად უჩვეულო დოლი ჩატარდა ორიოდე დღის წინ ამ სოფლის განაპირას მდებარე კორდის თავის ნაპურალ ველზე, სადაც თავი მოიყარა ყველა თაობის ლილოელმა, სადოლე ცხენებისათვის აქაური ახალგაზრდები შორს არ წასულან — თავიანთი სოფლის ცხენებით დადგნენ ორკილომეტრიან სადოლე ასპარეზზე. ვისაც როგორი ცხენი ჰყავდა, ისე გამოვიდა — უნაგირიანი თუ უუნაგირო, ჯაგლაგი ცხენიც ბლომად იყო.

ძირითადი შეჯიბრება, რა თქმა უნდა, უჯიშო ცხენების დოლში გაიმართა. აქ ფინიშის ნიშნულთან პირველი მიიჭრა ლილოელი რეზო არსოშვილი.

დიდი ლილოს ასპარეზობამ შეგვახსენა, რომ საქართველოში ჯერაც არ მინავლებულა სპორტის ეროვნული სახეობების სიყვარული, ეს კი იმედს გვისახავს, რომ დიდი სპორტის მაცოცხლებელი წყარო არ დამშრალა...

გაბრიელ ბარჩაძე,
სოფელ დიდი ლილო.

• • •

სურათზე: ლილოს დოლში გამარჯვებული რეზო არსოშვილი.

შესარჩევი ეტაპის შედეგები

სტარტი აიღო ფეხბურთში საქართველოს თასის მორიგმა გათამაშებამ. გთავაზობთ შესარჩევი ეტაპის შეხვედრების შედეგებს:

„საპონელა“ (თერჯოლა) — „მამისონი“ (ონი) 3:1,
„დურუჯი“ (ყვარელი) — „ჭაბუკიანი“ 1:2,
„მესხეთი“ (ახალციხე) — „თორი“ (ბორჯომი) 0:2,
„იბერია“ (ქარელი) — „ცხინვალი“ 0:2,
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ალგეთი“ (მარნეული) 3:0,
„კოდაკო“ (თბილისი) — შსს აკადემია (თბილისი) 1:0,
„ავაზა“ (თბილისი) — „ჟინერი“ (ჟინვალი) 2:1,
35-ე სკოლა — სტუ (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (გარდაბანი) 5:0,
„კოლხეთი-2“ (ფოთი) — „ოლიმპია“ (ხობი) 1:0,
„იმერეთი“ (ხონი) — „სალხინო“ (მარტვილი) 3:2,
„ოდიში-2“ (ზუგდიდი) — „სკური“ (წალენჯიხა) 3:1.

შემდეგი წრის მატჩები 29 აგვისტოს გაიმართება. პირველი ჯგუფის გუნდები ტურნირში მოგვიანებით ჩაებმებიან.

სკანდალი,

ანუ როგორ დავკარგოთ მილიონები ქართულად

გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის, უეფას ერთ-ერთი ქვეკომისიის წევრისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომიტეტის თავმჯდომარის მერაბ ჟორდანიასა და გუნდის მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. შეხვედრის ძირითადი ნაწილი ე. წ. „ნემსაძის საქმეს“ მიეძღვნა და, თემის აქტუალობიდან და ფაქტის არაორდინალობიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით მკითხველს დინამოელთა თავკაცის აღელვებული გამოსვლიდან ვრცელი ფრაგმენტი შევთავაზოთ.

მერაბ ჟორდანია: — „საკუთარ შეცდომად მიმაჩნია ზედმეტად ლოიალური ურთიერთობა ფეხბურთელებთან, რამაც სავალალო შემთხვევამდე მიგვიყვანა, გიორგი ნემსაძემ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ თბილისის „დინამოს“ წინაშე აბსოლუტურად ვალმოხდილია. ასეთი განცხადების უფლებას თავის დიდი მიშა მესხიც კი არ აძლევდა და სათაყვანებელი კლუბის სადღეგრძელოს მუხლზე დაჩოქილი სვამდა. ახლა კი გახმაურებული ამბის შესახებ:

შარშან, ქვეყნის ნაკრების ნახევარმცველი ნემსაძე პირადი სურვილით გერმანიის რეგიონალლიგის კლუბ „ჰამბურგში“ გადავიდა და თვეში 15 000 მარკას იღებდა, ანუ იმაზე ნაკლებს, რასაც „დინამოში“ ვუხდიდით. საკონტრაქტო ვადის გასვლის შემდეგ იგი დაგვიბრუნდა და გერმანელებთან სატრანსფერო ფურცელში ერთ-ერთი სადავო პუნქტის მოგვარების შემდეგ, უფლება ჰქონდა, უეფას თასის გათამაშების საპასუხო საკვალიფიკაციო მატჩი ლუქსემბურგის „გრევენმახერთან“ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ეთამაშა. ამასობაში დაგვიკავშირდა ჩვენთან დაახლოებული ინგლისური საშუამავლო ფირმა „მაკრა“ და მისი წარმომადგენლების მეშვეობით ნემსაძის „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლა პრაქტიკულად გადაწყდა. — კონტრაქტს მხოლოდ გიორგის ხელმოწერა აკლდა, პასპორტში ინგლისის ვიზაც კი უკვე ჩარტყმული ჰქონდა. პირობის თანახმად, იგი ქინქლაძისა და ყაველაშვილის კლუბს — „მანჩესტერ სიტის“ მხოლოდ უეფას თასიდან „დინამოს“ გამოვარდნის შემდეგ შეუერთდებოდა. კონტრაქტი „სიტისთან“ ყოველწლიურად 255 000 დოლარს ითვალისწინებდა. მას არ ვაკადრე, რომ აღნიშნულ წინადადებაზე თანხმობა ხელმოწერით დაედასტურებინა, რაც საბედისწეროდ შემოგვიბრუნდა. მოკლედ, ბრიტანეთის ნაცვლად, ნემსაძე თავისუფალი ფეხბურთელის სტატუსით თურქეთში აღმოჩნდა და „ტრაბზონსპორში“ დაახლოებით 300 000 დოლარად ჩაირიცხა. მისი თვითნებური საქციელით ინგლისის საფეხბურთო ბაზარი ჩვენთვის დაკარგულია, რაც დოკუმენტით დაგვიდასტურა საშუამავლო ფირმამ. მორალური პასუხისმგებლობა ვაკჟუანიას, ჯემალ ჩიმაკაძესა და ტყუპ ძმებს არველაძეებსაც ეკისრებათ, რომლებმაც თურქეთიდან შეგვატყობინეს „ტრაბზონსპორის“ ნემსაძის შესაძლო გარიგების შესახებ. არანაკლებ ხელშესახებია ამ ნაბიჯით ქართული ფეხბურთისათვის და, კერძოდ, თბილისის „დინამოსთვის“ მოყენებული მატერიალური ზარალი. ნემსაძესთან ერთად ფეხბურთის სამშობლოში კლუბ „საუთჰემპტონში“ გოგრიჭიანიშვილისა და ჯამარაულის გადასვლის საკითხიც გადაწყვეტილი იყო, რაც 3 მილიონ დოლარს (თითოეულზე — თითო მილიონს) მოგვიტანდა. თუ გვიჩივლებს, საშუამავლო ფირმას, საუკეთესო შემთხვევაში საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ „მხოლოდ“ 300 000 დოლარიანი დაჯარიმება შეუძლია. მაქსიმუმ, რასაც ჩვენ მივაღწევთ, საკომპენსაციოდ თურქებისაგან 50-100 ათასი დოლარის მიღებაა. ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე, გამოხმაურებას ვთხოვ გულშემატკივრებს, სპორტულ სამყაროსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. და ბოლოს, არ არის გამორიცხული, რომ ჩემი შესაძლებლობები სკ „დინამოს“ პრეზიდენტის პოსტზე ამოიწურა და საქმე სხვამ გააგრძელოს“.

გია პლატონიშვილი.

მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

გამომცემელი-შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24. სარედაქციო კოლეგია.